

წინასიტყვაობა	2
მონიტორინგის ძირითადი მიზნებები.....	2
შესავალი	5
1. „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ ცალკეული კომპონენტების განხორციელება.....	6
1.1. სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაცია.....	6
1.2. რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი	9
1.3. ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი	11
1.4. აგრობიზნესის განვითარების პროექტი.....	13
1.5. რეგიონული განვითარების ფონდი	14
2. აგვისტოს საომარი მოქმედებების ზეგავლენა პროექტების განხორციელებაზე.....	16
3. „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხების ათვისების დინამიკა	18
3.1. გამოყენებული მეთოდოლოგია.....	18
3.2. თანხების ათვისების დინამიკის ანალიზი.....	18
3.3. პროგრამული ხარჯების დაგვიანების შესაძლო უარყოფითი შედეგები	24
4. დასკვნები	26
5. რეკომენდაციები	27

ნინასისყვაობა

2006 წლის იანვრიდან „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“ ფონდ „ლია საზოგადოება საქართველოს-თან“ თანამშრომლობით და მისი ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის საზოგადოებრივი მონიტორინგი“. პროექტი ხორციელდება კოალიცია „საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის“¹ ფარგლებში.

პროექტის ფარგლებში 2006-2007 წლებში უკვე მომზადდა მონიტორინგის ორი ანგარიში. წინამდებარე ანგარიში მონიტორინგის მესამე ეტაპის ანგარიშს წარმოადგენს და მოიცავს პერიოდს 2007 წლის 1 სექტემბრიდან 2008 წლის 1 ოქტომბრამდე. ანგარიშში მიმოხილულია „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ მიმდინარეობა, პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხების ათვისების დინამიკა და პროგრამული ხარჯების დაგვიანების შესაძლო უარყოფითი შედევები.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მიერ აშშ-ს მთავრობისგან მიღებული „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ გრანტი მნიშვნელოვანი ფინანსური წყაროა საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის, კოალიცია „საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის“ ახორციელებს ათასწლეულის პროგრამის მონიტორინგს, პროგრამის ეფექტიანობის კუთხით.

წარმოდგენილი ანგარიში გამოქვეყნებამდე კომენტარებისა და მოსაზრებებისათვის განსახილველად წარედგინა „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“, რაც ადასტურებს კოალიციის მხრიდან ლიაობისა და თანამშრომლობის სურვილს.

მონიტორინგის ძირითალი მიზნები

2007 წლის 1 სექტემბრიდან 2008 წლის 1 ოქტომბრამდე განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ კომპაქტის² პირველ წლებში დაშვებულმა შეცდომებმა გამოიწვია ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის სერიოზული ცვლილება. კერძოდ, დაირღვა პროექტების შესრულების ვადები, შესაბამისად გაძვირდა სამუშაოების ღირებულება და შემცირდა პროექტიანობა.

განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ ათასწლეულის განვითარების პროგრამის განხორციელებაში არაეფექტური მენეჯმენტის, თანხების ათვისების დაბალი ტემპის და ხშირ შემთხვევაში დაბალი კომპეტენციის კონტრაქტორების გამო, პროექტების უმეტესობას შეექმნა როგორც დაგეგმილი სამუშაოების გადავადების, ასევე ხარისხის პრობლემები, რამაც შეამცირა პროგრამის ეფექტიანობის მაჩვენებელი. ჩვენი მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის, რეგიონული ინფრასტრუქტურის და აგრძობიზნესის განვითარების პროექტებზე. ქვემოთ წარმოდგენილი დასკვნები ნათლად ასახავს აღნიშნულ ტენდენციას:

სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტი - სამცხე-ჯავახეთის პროექტის შესრულებაში შექმნილი პრობლემების შედეგად პროექტის ღირებულება გაძვირდა, ეფექტიანობა კი შემცირდა, კერძოდ, კომპაქტის მიხედვით, თავდაპირველად განსაზღვრული 102,2 მილიონი აშშ დოლარის ნაცვლად გზების რეაბილიტაციაზე

1 კოალიციის წევრი ორგანიზაციები არიან: «ფონდი ლია საზოგადოება საქართველო», «ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი», «საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია», «საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია» და «საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო».

2 კომპაქტი - ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ხელშეკრულება აშშ მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის

ამჟამად გათვალისწინებულია 123,6 მილიონი აშშ დოლარი. აღნიშნული პროექტის ბიუჯეტი რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტისთვის განკუთვნილი თანხის ხარჯზე გაიზარდა, რამაც რეგიონული ინფრასტრუქტურის პროექტის დაზარალება გამოიწვია. გარდა ამისა, თუ კომპაქტის მიხედვით პროექტის თანხების ფარგლებში უნდა მომზდარიყო გზის რეაბილიტაცია ექვს მონაკვეთზე (ლოტზე), დღევანდელი მონაცემებით პირველი ლოტის, ანუ თრიალეთი-ფარგლების-კოდის შემოვლითი გზის 27 კილომეტრიანი მონაკვეთის დაფინანსება პროგრამის ფარგლებში ველარ ხერხდება და ეს ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტმა „გადაიბარა“. ამასთან, თანხების სიმცირის გამო მოხდა მეხუთე და მეექვსე ლოტების მოდიფიცირება, რის შედეგადაც ახალქალაქი-ნინოშმინდის გზის მონაკვეთის რეაბილიტაციაზე ამ ეტაპზე საერთოდ უარი ითქვა. საბოლოოდ, მოდიფიკაციის შედეგად თავდაპირველი მეხუთე ლოტის 62,5 პროცენტის და მეექვსე ლოტის 52 პროცენტის რეაბილიტაცია დაგეგმილი. ეს კი ნიშნავს, რომ ბიუჯეტის გაზრდის მიუხედავად. სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის ფარგლებში ვერ ხერხდება თავდან დასახული მიზნების სრულად შესრულება.

რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი - რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დაზარალება ნანილობრივ სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტზე თანხების გადასროლებ გამოიწვია. თანხების შემცირება პირდაპირ აისახა განსახორციელებული სამუშაოს მასშტაბზე და პროექტის ეფექტურობაზე. კერძოდ, პირველ ეტაპზე იდენტიფიცირებული დაფინანსების კანდიდატი წყალმომარაგების შვილი და ირიგაციის სამი პროექტიდან, ორი ამოვარდა და დღეისთვის წყალმომარაგების ხუთი პროექტის დაფინანსება იგეგმება. დამტკიცებული და დატინანსების კანდიდატი პროექტებიდან რუსთავის წყალმომარაგების სისტემის და წყალტუბოს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტი არსებიული ბიუჯეტის ფარგლებში ველარ ფინანსდება, თუმცა, ამის მიზეზი მხოლოდ რეგიონული ინფრასტრუქტურის პროექტისთვის ბიუჯეტის შემცირება არ გამხდარა. მიზეზებს შორის „ემ-სი-ჯი“-ს მენეჯმენტი ასახელებს იმას, რომ წყალმომარაგების პროექტებზე მიმდინარე საპროექტო სამუშაოებმა აჩვენა, რომ სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები ბევრად უფრო ძირი ჯდებოდა, ვიდრე ეს თავდაპირველად იყო შეფასებული, ამიტომ საჭირო გახდა მათი დაფინანსების გაზრდა და საწყის ეტაპზევე არსებულ პროექტებზე უარის თქმა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის პროექტების დაგეგმვის პერიოდში არსებულ ხარვეზებს.

რეგიონალური ინფრასტრუქტურის პროექტის განხორციელებაში გამოიკვეთა კიდევ ერთი პრობლემა - პროექტის მენეჯმენტის მიერ შერჩეული კონტრაქტორის დაბალი კომპეტენცია. კერძოდ: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ქუთაისის და ქობულეთის წყალმომარაგების პროექტებისთვის დაქირავებული საინჟინრო დიზაინის კონტრაქტორის „გამას“ (საქართველო) და „გაუფის“ (გერმანია) კონსორციუმის მიერ ერთის მხრივ - დაგვიანდა საინჟინრო დიზაინის წარმოდგენა, მეორეს მხრივ კი - წარმოდგენილი დიზაინი სერიოზული ხარვეზების მქონე აღმოჩნდა. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია „რამბოლმა“, რომელიც დაქირავებულია მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის მუნიციპალური პროექტების განხორციელებაში დახმარების გასაწევად, კონტრაქტორის მიერ პროექტის დიზაინი ორჯერ დაინტენცია. შედეგად ეჭვის ქვეშ დადგა ამ პროექტების დასრულება კომპაქტის მოქმედების ვადაში. (ცხადია, აღნიშნულზე პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც კონტრაქტორს, ასევე პროექტის მენეჯმენტს, რომელმაც აღნიშნული კონტრაქტორი შეარჩია).

საბოლოო ჯამში, რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში არა მხოლოდ შემცირდა დასაუკინასებელი სარეაბილიტაციო პროექტების რაოდენობა, (ანუ ეფექტურობა), არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა შემცირებული მასშტაბის სამუშაოების დასრულებაც კომპაქტის ვადაში.

ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი - კონტრაქტორის კომპეტენცია და კვალიფიციური ექსპერტების დეფიციტი ერთერთი მნიშვნელოვანი პრობლემა აღმოჩნდა ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტშიც. შეგახსენებთ, რომ პროექტის მმართველი კომპანიის — გაზის საერთაშორისო კორპორაციის შერჩევისას გამოყენებული იქნა ერთ პირთან მოლაპარაკების ფორმა და ამის არგუმენტად ემ-სი-ჯის მენეჯმენტი გასულ წლებში აღნიშნავდა, რომ: „ეს იყო ერთადერთი კომპანია, რომელსაც ჰქონდა საქართველოს გაზისადენის რეაბილიტაციის და გამოყენების გამოცდილება, ისევე როგორც „BP“-სთან ურთიერთობის გამოცდილება.

დღეს კი, პროექტის განხორციელებაში შექმნილი პრობლემების ობიექტურ დასაბუთებაში თავად ემ-სი-ჯის მენეჯმენტი აღნიშნავს, რომ პროექტის განხორციელებას ნინასნარ განსაზღვრულ ვადებში ხშირ შემთხვევაში სწორედ საკონსულტაციო მომსახურებაში შექმნილი პრობლემები უშლიდა ხელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ

მონიტორინგის პერიოდში იქნა მიღებული გადაწყვეტილება ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტში ახალი კომპონენტის - მინისქვეშა გაზსაცავის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის კომპონენტის ჩართვის შესახებ, რაც მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის აზრით, სწორი გადაწყვეტილება იყო. აქაც, ისევე როგორც სხვა პროექტებში კითხვები ჩნდება მინისქვეშა გაზსაცავზე დაწყებული კვლევის დასრულების ვადებთან დაკავშირებით.

აგრობიზნესის განვითარების პროექტი - აგრობიზნესის განვითარების პროექტის, ისევე, როგორც სხვა პროექტების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა თანხების ათვისების დაბალი ტემპია. სხვა ობიექტურ ფაქტორებთან ერთად, ემ-სი-ჯი-ს მენეჯმენტი აღნიშნულის ერთერთ მიზეზად კონტრაქტორი კომპანიის — „სი-ეფ-ენ-ეი“-ს „სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების ნაკლებობით“ სწორი. შეგაბსენებთ, რომ ეს ორგანიზაცია პროექტის განსახორციელებლად იქნა დაქირავებული ტენდერის შედეგად. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა არა მხოლოდ მმართველ კომპანიას, არამედ ამ კომპანიის დამტკიცებულსაც ეკისრება. აქვე საინტერესოა, რომ ზემოაღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად „სი-ენ-ეფ-საქართველოსთვის“ დამატებით 290 696 აშშ დოლარი იქნა გამოყოფილი მენეჯმენტისთვის გამოყოფილი, რაც ასევე უარყოფითი ფაქტორია. **ალსანიშნავია**, რომ ამ დოლარისთვის გამოვლენილია 113 გამარჯვებული პროექტი საერთო ლირებულებით 4,6 მლნ აშშ დოლარი. თუმცა, ამ ეტაპზე სრულად 4,6 მლნ აშშ დოლარის ათვისებაც არ მომხდარა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია ის, რომ პროექტის მენეჯმენტის ინფორმაციით, გრანტების გაცემის დაბალი მაჩვენებლის მიზეზი განმცხადებელთა მიერ შემოტანილი გრანტების დაბალი ხარისხია. ცხადია, ამის პროგნოზირება საქმაოდ აღვილი იყო, რადგან საქართველოში ზოგადად, და განსაკუთრებით სოფლად, საქმაოდ დაბალია საგრანტო განაცხადების წერის კულტურა. პროექტის დაწყებიდან ორი წლის შემდგომ, სი-ენ-ეფ-ეიმ მიიღო გადაწყვეტილება დაექირავებინა კონტრაქტორი კომპანია, რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს „პერსპექტიულ განმცხადებლებს“ პროექტების შემუშავების პროცესში. მიგვაჩნია, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება და პრობლემის პროგნოზირება პროექტის დაწყების საწყის ეტაპზევე შესაძლებელი იყო.

„ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხების ათვისების დინამიკა - „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ ფარგლებში დასაფინანსებელი რამდენიმე პროექტიდან კომპაქტით გათვალისწინებული დროის თითქმის ნახევრის გასვლის შემდეგაც კი, მხოლოდ ერთის, ენერგეტიკის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში მოხერხდა თანხების დაახლოებით 30%-ის ათვისება. ყველა დანარჩენ შემთხვევაში გამოყოფილი თანხების ათვისება 20%-ზე ნაკლებია, ხოლო სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციისა და რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებისათვის ანალოგიური მაჩვენებლები სულაც 5%-ზე ნაკლებია. მიუხედავად იმისა, რომ „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ - დაგეგმილი აქვს მიმდინარე კვარტალში თანხების ათვისების მაჩვენებლის ამბიციური ზრდა. მიგვაჩნია, რომ ხარჯების სწრაფი ზრდამ შესაძლოა პროექტის თავდაპირველი დიზაინის გადახედვა მოითხოვოს. ასევე აღსანიშნავია, რომ გაზრდილი თანხების უფრო სწრაფად განკარგვას იმაზე მეტი ადმინისტრაციული და ინსტიტუციური რესურსი დასჭირდება, ვიდრე ეს ადრე იყო გათვალისწინებული და ამიტომაც უახლოეს მომავალში კომპაქტის მიმდინარეობის ფინანსური მახასიათებლების საერთო სურათი დაახლოებით იგივე დარჩება.

საქართველოში საომარი მოქმედებების შემდგომ აშშ-ს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამისათვის“ დამატებით 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის შესახებ, რამაც მომავალში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დასრულებას უნდა შეუწყოს ხელი. თუმცა, ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ პროგრამის ეფექტურანობაში არსებული ზემოთმოყვანილი ხარვეზების აღმოფხვრის გარეშე შესაძლებელია ამ თანხების ათვისებაც ვერ მოხერხდეს დროულად და საფრთხის ქვეშ დადგეს მთლიანად გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულება კომპაქტის მოქმედების ვადაში.

„ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ შესრულების მონიტორინგის მიმდინარე ანგარიში მოიცავს 2007 წლის 1 სექტემბრიდან 2008 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდს. აღნიშნული საანგარიშო პერიოდი რამდენიმე თავისებურებით ხასიათდება:

პირველი – ამ ეტაპისთვის „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ შესრულებაში უკვე დაგროვდა ე.წ. „ჩამორჩები“, რამაც განსაზღვრა შემდგომში მიღებული გადაწყვეტილებების და პროექტების „კორექტირების“ მაჩვენებელი.

მეორე – საანგარიშო პერიოდში „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ მენეჯმენტი პრაქტიკულად სრულად გადახალისდა.

მესამე – ამ პერიოდს ემთხვევა რუსეთსა და საქართველოს შორის განხორციელებული საომარი მოქმედებები, რამაც საქართველოში მიმდინარე ყველა პროექტზე იქონია მეტ-ნაკლები ზეგავლენა.

მეოთხე – ამ დროს იქნა მიღებული გადაწყვეტილება პროგრამისთვის დამატებით 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის შესახებ, რამაც მომავალში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ეფექტურად დასრულებას უნდა შეუწყოს ხელი.

ცნობილია, რომ „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი 295,3 მილიონი აშშ დოლარით კომპაქტის ხელმოწერისას მიღებული გადაწყვეტილებით, „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ მიხედვით, განსაზღვრული იყო შემდეგი სფეროების დაფინანსება: რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და რეგიონებში საწარმოთა განვითარება. თავის მხრივ, რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის კომპონენტი დაყოფილი იყო სამ ძირითად პროექტად:

1. სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაცია (102.2 მილიონი);
2. ენერგონფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (49.5 მილიონი);
3. რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება (60 მილიონი);

საწარმოთა განვითარების კომპონენტი კი შეიცავდა შემდეგ პროექტებს:

1. საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი (32.5 მილიონი);
2. აგრობიზნესის განვითარება (15 მილიონი).

„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“ გასულ წლებში განხორციელებული მონიტორინგისას არაერთგზის მიუთითებდა, რომ პროგრამის არაეფექტურ მენეჯმენტს და პროექტების დაგვიანებით განხორციელებას, შესაძლოა, „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების გაძვირება გამოიწვია და ასევე შემცირებინა პროგრამის საბოლოო ეფექტი. დღეისთვის, უკვე სახეზეა კომპაქტის კორექტირებული პირობები, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

1. სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაცია (123,6 მილიონი);
2. ენერგონფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (49.5 მილიონი);
3. რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება (43,485 მილიონი);

საწარმოთა განვითარების კომპონენტი კი შეიცავს შემდეგ პროექტებს:

1. საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი (32.5 მილიონი);
2. აგრობიზნესის განვითარება (15 მილიონი);

ცვლილებები შესულია არა მხოლოდ პროექტების დაფინანსების მაჩვენებლის, არამედ თანხების ათვისების გეგმის კუთხითაც. ყველა პროექტში სახეზეა თანხების არაგეგმიური ათვისება.

1. "ათასნივების გამოწვევის პროგრამის" საცავი აომარნანაზე ბანეობის განხილვისას

წინამდებარე ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციისა და რეგიონული ინფრასტრუქტურის პროექტების შესრულების მაჩვენებელს, რადგან ყველაზე სერიოზული კორექტირებები სწორედ ამ ორ კომპონენტს შეეხო. ანაგრიშში მიმოხილულია სხვა პროექტების რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალიც, რომლებიც ათასნლეულის პროგრამის სამომავლო განვითარებაზე იქნიებს ზეგავლენას.

1.1. სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაცია

აროვანის განხილვის არიოდში სამცხე-ჯავახეთის გზის ლირაგალება გაძირდა (102 მილიონი - 123,6 მილიონ აშ დოლარად), დაგამილი სამცხე-ჯავახეთის მასშტაბი კი შემცირდა (ეპვი ლოგილა აროვანის სრულად დღის მხოლოდ სას აფინანსებს, კიდევ 10 კი - მოდიფიცირებული, ანუ შემცირდა კი ლოგილა კი ლოგილა რაზით).

ცვლილებები პირველ რიგში შეეხო სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტს. 2008 წლის ოქტომბრის მონაცემებით, სამცხე-ჯავახეთის გზების რეაბილიტაციისთვის 295,3 მილიონი დოლარიდან განსაზღვრულია არა 102 მილიონი დოლარის დახარჯვა, როგორც ეს თავდაპირველად იყო განსაზღვრული, არამედ - 123,6 მილიონი აშშ დოლარის (იხ. www.mcg.ge). „ათასნლეულის გამოწვევის კორპორაციის“ ივლისი-სექტემბრის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კომპაქტში განხორციელდა ფინანსური ცვლილებები, რომლის შედეგად რეგიონალური ინფრასტრუქტურის ფუნდიდან და პროგრამის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის კომპონენტიდან სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის კომპონენტის დაემატა 21,4 მილიონი აშშ დოლარი. ამასთან, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რომ პროექტი გაძვირდა, არამედ ამ თანხით გათვალისწინებულია თავდაპირველად დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების მხოლოდ გარკვეული ნაწილის შესრულება. ემ-სი-ჯის ინფორმაციით 2008 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, სამცხე-ჯავახეთის გზების რეაბილიტაციის პროექტის შესრულების მიმდინარეობა, , ასეთია:

„საქართველოს ათასნლეულის პროგრამის“ სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის მიზანია რეგიონში საგზაო-სატრანსპორტო ქსელის აღდგენა. პროექტის საერთო ღირებულებით 123,6 მილიონი აშშ დოლარი, პროექტი ითვალისწინებს 170,9 კმ გზის რეაბილიტაციას ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. (www.mcg.ge).

გზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს შესრულებს საერთაშორისო ტერიტორიული გამარჯვებული ორი კომპანია: „აშტრომ ინტერნეშენელი“ (ისრაელი) და ერთობლივი საწარმო პაპენბურგ/ოსტაში“ (გერმანია-თურქეთი).

2008 წლის 20 მარტს, კომპანია „აშტრომ“-თან ხელი მოეწერა 65,467,530.16 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც მოხდება გზის შემდეგი მონაკვეთების რეაბილიტაცია: ფარცხისა-გოხნარი (37,1 კმ); გოხნარი-ნარდევანი (34,6 კმ) და ნარდევანი-სათხე (47,8 კმ).

2008 წლის 14 მაისს, ერთობლივ საწარმო „პაპენბურგ/ოსტაშთან“ ხელი მოეწერა 33,100,683.20 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულებას, რომლიც განახორციელებს სამუშაოებს შემდეგ საგზაო მონაკვეთებზე: სათხე-ნინონმინდა-სომხეთის საზღვარი (31,4 კმ) და ახალქალაქი-სულდა (20 კმ). სარეაბილიტაციო სამუშაოები 2008 წლის გაზაფხულზე დაიწყო და 2010 წლის ბოლოს დასრულდება“.

აღნიშნული ინფორმაციის ანალიზისათვის აუცილებელია სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის განვითარების დინამიკის განხილვა.

სამცხე-ჯავახეთის გზების რეაბილიტაციის პროექტის დასაფინანსებლად, „ათასნლეულის გამოწვევის პროგრამის“ ფარგლებში კომპაქტის კორექტირებამდე გათვალისწინებული იყო 102,2 მილიონი აშშ დოლარი. პროექტის

შესრულების ვადები რამდენჯერმე შეიცვალა, მათ შორის პოლოს - 2007 წლის ივნისში, როცა ტენდერი ჩაიშა-ლა სამუშაოების გაძვირების გამო - მაშინ კომპანიებმა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 190 მილიონი აშშ დოლარი მოითხოვეს. პროექტის სამუშაო ჯვეუფი მონიტორინგის პერიოდში არაერთხელ მიუთითებდა ემ-სი-ჯი-ს მენეჯმენტს, რომ ვადების გაჭირება სამუშაოების გაძვირებას გამოიჩვევდა და შეამცირებდა პროექტის ეფექტს. ის, რომ ასეთი საფრთხე რეალურად წარმოიშვა, აშკარად გამოჩნდა 2007 წლის ზაფხულში, როცა ტენდერი ჩაიშალა. ზაფხულშივე გადაწყვდა სარეაბილიტაციო გზის ლოტებად დაყოფა. ეს გადაწყვეტილება ერთის მხრივ გონივრული იყო, რადგან სამუშაოების „დანაწილების“ საშუალებას იძლეოდა რამდენიმე კომპანიაზე, ეს კი, აუცილებელი იყო თუნდაც იმის გამო, რომ დარღვეული ვადების პირობებში სარეაბილიტაციო სამუშაოების დაყოფა, შესრულების ტემპზე, წესით, დადგითად იმოქმედებდა. მეორეს მხრივ კი, შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ლოტებად დაყოფის გზით „ათასწლეულის გამოწვევა საქართველომ“ სარებილიტაციო გზის ნაწილის შეკეთება სახელმწიფო ბიუჯეტს „გადააპარა“:

2007 წლის სექტემბერში, სამეთვალყურეო საბჭოს საგანგებო სხდომაზე (10 სექტემბერი, 2007) პროექტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ „ემ-სი-სი“ იტოვებს ლოტების დაფინანსების თავად არჩევის უფლებას. იმ შემთხვევაში, თუ შემოსული ფასი პროექტის განსაზღვრულ ბიუჯეტს გადააჭარბებს, პროექტის დანარჩენი ლოტების დაფინანსება, ემ-სი-ჯი-ს განცხადებით, „შესაძლებელია მოხდეს საქართველოს მთავრობის მიერ“. საინტერესოა, რომ 10 სექტემბრის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ნოლაიდელმა განაცხადა: „საქართველოს მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ დააფინანსებს ცალკე ლოტებს და იმ შემთხვევაში, თუ თანხა საკმარისი არ იქნება, საქართველოს მთავრობა ერთანად დაამატებს ფულს ექვსივე ლოტზე“. პრემიერმა აქვე აღნიშნა, რომ „საქართველოს მთავრობა არ აპირებს მმართველი და საზედამხედველო კომპანიის ანაზღაურებას იმ ფარგლებში, რაც მთავრობის დასაფინანსებელ ლოტებს შეეხება“.

შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ საქართველოს მთავრობა, უკვე ახალი პრემიერის ვლადიმერ გურგენიძის პერიოდში, იძულებული გახდა „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ ფარგლებში თავდაპირველად გათვალისწინებული სარებილიტაციო სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე დაეფინანსებინა. „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ ინფორმაციით, 2008 წლის იანვარში წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების განხილვამ ცხადყო, რომ არსებული ბიუჯეტი არასაკმარისი იყო თავდაპირველად განსაზღვრული ექვსივე ლოტის რეაბილიტაციისთვის. 2008 წლის 20 მარტს მოხერხდა კონტრაქტის გაფორმება სამშენებლო კომპანიასთან. აქვე აუცილებელია აღინიშნოს რამდენიმე დეტალი:

ხელშეკრულება, რომელიც დაიდო 2008 წლის მარტში, გულისხმობდა სამუშაოების დაწყებას 3 ლოტით გა-თვალისწინებულ გზის მონაკვეთებზე, კერძოდ:

- ლოტი №2 - ფარცხისი-გოხნარი-37,1 კმ (თეთრიწყაროს რაიონი);
- ლოტი №3 - გოხნარი (თეთრიწყაროს რაიონი) - ნარდევანი - 34,6 კმ (ნალკის რაიონი);
- ლოტი №4 - ნარდევანი (ნალკის რაიონი) - სათხე-47,8 კმ(ნინონმინდის რაიონი);

2008 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის განკარგულებით (№0150) ცნობილი გახდა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ სამცხე-ჯავახეთის გზების რეაბილიტაციის პროექტის 01 ლოტის (თელეთი-კოდა-ფარცხისი) სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსების შესახებ: დაფინანსება მოხდა საქართველოს სააგრძომობილო გზების დეპარტამენტისთვის 2008-2010 წლებში შესაბამისი სახელმწიფო ბიუჯეტებით გზების რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში. სამშენებლო სამუშაოების განხორციელება დაევალა საქართველოს სააგრძომობილო გზების დეპარტამენტს. (იხ. საქართველოს მთავრობის განკარგულება №0150, 24 მარტი, 2008).

2008 წლის 14 მაისს ერთობლივ საწარმო „პაპენბურგ/ოსტაშთან“ ხელი მოეწერა 33,100,683.20 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულებას, რომელმაც სათხე-ნინონმინდა-სომხეთის საზღვარი (31,4 კმ) და ახალქალაქი-სულდა (20 კმ) საგზაო მონაკვეთებზე უნდა განახორციელოს სამუშაოები.

„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ მიერ ჯერ კიდევ 2006 წელს გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ დაგეგმილი სამუშაოების დაგვიანებით განხორციელება და არასათანადო მენეჯმენტი გზის რეაბილიტაციის პროექტს გაძვირებდა და დეგეგმილ სამუშაოებს შეამცირებდა – გამართლდა. სამცხე-ჯა-

ვახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის დროში გაჭიანურებამ მართლაც გააძვირა აღნიშნული სამუშაოები და, შესაბამისად, საჭირო გახდა მასზე დამატებითი - საბიუჯეტო სახსრების მოზიდვა.

„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა“ 2008 წლის 16 ივლისს თხოვნით მიმართა „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მოენოდებინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ თავდაპირველად დაგეგმილი სამუშაოების რა პროცენტის შესრულება ხორციელდება უშუალოდ „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ ფარგლებში. მათი ინფორმაციით:

”1. სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის პირველი ლოტით (თრიალეთი-ფარცხისი-კოდის შემოვლითი გზა) გათვალისწინებული 27 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციას განხორციელებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

2. სატენდერო კომისიის მიერ 2008 წლის იანვარში წარმოდგენილი სატენდების განხილვის შემდეგ დადგინდა, რომ არსებული ბიუჯეტი არასაკმარისი იყო თავდაპირველი მეხუთე და მეექვსე ლოტებით გათვალისწინებული სათხე-ნინოშმინდა (6,9 კმ), ახალქალაქი-სომხეთის საზღვარი (43,4 კმ) და ახალქალაქი-თურქეთის საზღვარი (36,1 კმ), ახალქალაქის შემოვლითი გზა (2,3 კმ) გზის მონაკვეთების სარებილიტაციოდ. იქიდან გამომდინარე, რომ ახალქალაქი-ნინოშმინდის გზის საფარი შედარებით კარგ მდგომარეობაშია, გადაწყდა სათხე-ნინოშმინდა-სომხეთის საზღვრისა (31,4 კმ) და ახალქალაქი-სულდას (20 კმ) საგზაო მონაკვეთების რეაბილიტაცია. ამ კომიტინაციით, მოდიფიცირებული მეხუთე ლოტის ფარგლებში, მოხდება თავდაპირველი მეხუთე ლოტის 62,5 პროცენტისა და მეექვსე ლოტის 52 პროცენტის რეაბილიტაცია“ (იხ. REF:MCG/GEN/CEO/OUT/1581, 24.07.08)

შესაძლო პრობლემაზე მიუთითებდა სწორედ სამუშაო ჯგუფი, როცა პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზევე ხაზს უსვამდა დაგვიანებებს სხვადასხვა სეგმენტებში და აცხადებდა, რომ ეს პროცესი პროექტის გაძვირებას და მის განხორციელებაში პრობლემებს გამოიიწვევდა. გარდა ამისა, ალაზანიშნავია, რომ წინასწარი გათვლებით სამუშაოები 2009 წლისთვის უნდა დასრულებლიყო, რაც, თუ კომპანია „შტრომთან“ დადებული ხელშეკრულებით ვიმსჯელებთ – ნამდვილად ველარ მოესწრება, რადგან სამუშაოთა განხორციებისთვის კომპანიას 30 თვე ეძლევა, რაც 2011 წელს იწყრება. მეექვსე ლოტის სამუშაოების დასრულება კი, „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ ინფორმაციით, 2010 წლისთვის იგეება.

„ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ ინფორმაციით, დღეისთვის სამუშაოები ასე მიმდინარეობს: „საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულმა სამშენებლო კომპანია „შტრომ“-მა (ისრაელი) დასრულა მობილიზაცია, რის შემდეგაც დაიწყო სამშენებლო სამუშაოების განხორციელება ფარცხისი-გოხნარის, გოხნარი-ნარდევანისა და ნარდევანი-სათხეს საგზაო მონაკვეთებზე. მიმდინარეობს გზის გაფართოება, ასფალტის ფენის მოხსნა და დასაწყობება შემდგომში გამოსაყენებლად, აგრეთვე თიხოვანი გრუნტების გამაგრება ინერტული მასალებით. მიმდინარეობს საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია „პაპენბურგ/ოსტრაშის“ (გერმანია-თურქეთი) მობილიზაცია. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, გერმანულ-თურქული კომპანია ატარებს აუცილებელ კვლევებს სათხე-ნინოშმინდა-სომხეთის საზღვრისა და ახალქალაქი-სულდას საგზაო მონაკვეთებზე. მიმდინარეობს განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელება“. (იხ. www.mcg.ge სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტი, მიმდინარე სამუშაო)

ალაზანიშნავია, რომ მოდიფიცირებულ მეხუთე ლოტზე ჯერ კიდევ „აუცილებელი კვლევები“ ხორციელდება და სამშენებლო სამუშაოები ჯერჯერობით არ დაწყებულა, რაც მის წინასწარი გეგმის შესაბამისად დასრულებას ეჭვებეშ აყენებს.

„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ კითხვაზე, თუ რას მოიცავს კვლევითი სამუშაოები და სამუშაოების რა ნანილი მოესწრება ზამთრის სეზონის დაწყებამდე, „ათასწლეულის გამოწვევა - საქართველოს“ მენეჯმენტის პასუხი ასეთია: “თქვენი 23/10/08 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ კვლევითი სამუშაოები ძირითადად მოიცავს გეოდეზიურ სამუშაოებს, როგორიცაა ლერსულა ხაზისა და სიმაღლის დონის გადამოწმება, ასევე ხიდების შემოწმება. დაგეგმილი იყო ასფალტის ფენის მოხსნა, ძირითადად, სათხე-ნინოშმინდის მონაკვეთზე, მაგრამ ვინაიდან ზამთრამდე სხვა სამუშაოები არ მოესწრებოდა და საფარის გაუარესება გამოიწვევდა მოსახლეობის უარყოფით რეაციას და გააუარესებდა მოძრაობის გამავლობას, გადაწყდა, რომ ამ ეტაპზე მობილიზაციის დასრულების გარდა სხვა სამშენებლო სამუშაოები არ ჩატარებულიყო. კლიმატური პირობების

გამო მეხუთე მოდიფიცირებულ ლოტზე ივარაუდება სამშენებლო პაუზის აღება, მაგრამ ამ პერიოდისათვის დასრულდება ტექნიკის მობილიზაცია, ლაბორატორიის მონტაჟი და სამუშაო ნახაზების მომზადება”.

სამუშაოების გადავადების ობიექტურ მიზეზებს შორის „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მენეჯმენტი ასახელებს ასევე აგვისტოს მოვლენების ზეგავლენას.

„რაც შეეხება გზის მე-5 და მე-6 მოდიფიცირებულ მონაკვეთებს, იმ დროისთვის მიმდინარეობდა სამშენებლო კომპანიის მობილიზაციის პროცესი და უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელი კვლევები. თუმცა, საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მგზავრობასთან დაკავშირებით გაცემული გაფრთხილების საფუძველზე, გერმანულ-თურქულმა სამშენებლო კომპანიამ - „პაპენბურგ/ოსტაზ“-მა დროებით შეწყვიტა ყველა სახის სამუშაოები“. (იხ. წერილი MCG/CEO/OUT1648 26.09.2008).

1.2. რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი

პროექტის თავდაპირველად მოსალოდნელი ეფექტიანობა შემოირჩება. დამატებით და დაფინანსების კალილი პროექტებიდან 2008 წლის აღმართული რის - რესთავის ნეალომარაგიბის სისტემის და წყალტუბოს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტი.

რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის საერთო ბიუჯეტია 43,485 მილიონი აშშ დოლარი. პროექტი მიზნად ისახავს მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესებას. პროექტი ითვალისწინებს გრანტების გამოყოფას უფლებამოსილი სამთავრობო ორგანიზაციებისთვის (ადგილობრივი თვითმმართველობა, მუნიციპალური სანარმო და ცენტრალური მთავრობა) ინფრასტრუქტურის გასავითარებლად.

რეგიონული ინფრასტრუქტურის პროექტის ფარგლებში ფინანსდება:

საინვესტიციო პროექტები - სამუშაოები, ტექნიკის/აღჭურვილობის შეძენა; განვითარების პროექტები - ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, გარემოსდაცვითი კვლევები და ა.შ. ტექნიკური დახმარების პროექტები - უფლებამოსილი მუნიციპალური სანარმოს გაძლიერება - კონსულტაციები, ტრეინინგები და ა.შ. პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

როგორც უკვე აღინიშნა, კომპაქტში განხორციელებული ცვლილების თანახმად, სამცხე-ჯავახეთის გზების რეაბილიტაციისთვის დამატებითი თანხების გამოყოფა მოხდა რეგიონული ინფრასტრუქტურის პროექტიდან, რამაც ამ პროექტის დაფინანსებაში „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ წილი 60 მილიონი აშშ დოლარიდან 43,485 მილიონ აშშ დოლარამდე შეამცირა. „ათასწლეულის გამოწვევა საქართველო“ აცხადებს, რომ ეს თანხები არ არის საკმარისი დღეისთვის დაგეგმილი სამუშაოების სრულად შესასრულებლად: „საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების (კომპაქტის) თანახმად, პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრა 60 მილიონი აშშ დოლარით, რაც მოგვიანებით 43,485 მილიონ აშშ დოლარამდე შემცირდა, თუმცა, ეს თანხა საკმარისი არ არის ქვეყნაში ამ კუთხით არსებული პრობლემების მისაზღვარებლად. თანადაფინანსების მიზნით, საქართველოს ათასწლეულის ფონდი თანამშრომლობს ევროპის რეგიონსტრუქტივისა და განვითარების ბანკთან (EBRD), შევდეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან (SIDA), ევროკომისიის დელეგაციასთან საქართველოში (EC Delegation) და სხვა დონორებთან, რამაც შესაძლებელი გახდა უფრო მასშტაბური პროექტების განვითარება“. (იხ. www.mcg.ge რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი)

მიუხედავად იმისა, რომ „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მენეჯმენტი საუბრობს პროექტის მასშტაბის გასაზრდელად დამატებითი რესურსების მოძიებაზე, თავად პროექტი კომპაქტის ხელმოწერის მომენტისთვის განსაზღვრული სამუშაოების მხოლოდ ნაწილის განხორციელებას ითვალისწინებს. კერძოდ: „პირველ ეტაპზე იდენტიფიცირებული იქნა დაფინანსების კანდიდატი 7 წყალმომარაგებისა და 3 ირიგაციის პროექტი. მოგვიანებით, იდენტიფიცირებულ პროექტთან ნუსხა ხუთამდე შემცირდა“ (იხ. www.mcg.ge რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი. შესრულებული სამუშაო)

ბოლო ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში, მოხდება წყალმომარაგების სისტემების სრული აღდგენა ფოთ-ში, ქობულეთში, ქუთაისში, ბაკურიანსა და ბორჯომში.

დამტკიცებული და დაფინანსების კანდიდატი პროექტებიდან 2008 წელს „ამოვარდა“ რუსთავის წყალმომარა-გების სისტემის და წყალტუბოს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტი.

„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ შესაბამის შეკითხვებზე პასუხად, „ათასწლეულის გამოწვევა სა-ქართველოს“ მენეჯმენტი შექმნილ სიტუაციას შემდეგი არგუმენტებით ხსნის: „თქვენი 21/10/08 წერილის თანა-ხმად, გაცნობებთ, რომ რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში თავდაპირველად იდენტიფიცირებული იქნა დაფინანსების კანდიდატი წყალმომარაგების 7, ხოლო ირიგაციის 3 პროექტი. მოგვია-ნებით, იდენტიფიცირებულ პროექტთა ნუსხა 5-მდე შემდეგი მიზეზებით იყო გამოწვეული:

მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების საინვესტიციოდ მომზადება დიდ დროს მოითხოვს (პროექტების იდენტიფიკაცია, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, პროექტირება და რეაბილიტაცია/მშენებლობა). სწორედ ამი-ტომ, იდენტიფიკაციის პროცესში არჩევანი გაკეთდა ისეთ პროექტებზე, რომელთა საინვესტიციოდ მომზადე-ბის პროცესი, სხვა დონორების მონანილეობის გამო, დაწყებული იყო ევროკავშირის დაფინანსებით მომზადე-ბული იყო ან მიმდინარეობდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები ფოთის, ქუთაისის, ქობულეთის, რუსთავის, ბორჯომისა და ბაკურიანის წყალმომარაგების პროექტებზე. მსოფლიო ბანკმა და „BP“-მ გამოიქვევს მზადყოფნა პროექტირების სამუშაოების დაფინანსებაზე). თუმცა, იდენტიფიცირებულ პროექტთა შორის იყო ისეთებიც, რომელთა მომზადება დაწყებული არ იყო: ზემო სამგორის, ქვემო სამგორის და ტბისი-კუმისის ირიგაციის პროექტები და წყალტუბოს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის რეაბილიტაციის პროექტი. მიუხედავად იმი-სა, რომ საქართველოს ათასწლეულის ფონდმა დააფინანსა აღნიშნული პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები, მათი სრულად განხორციელება კომპაქტის ვადებში, ანუ ხუთ წლისადში, ეჭვის ქვეშ დადგა. (მუ-ნიციპალური განვითარების ფონდი მოლაპარაკებებს აწარმოებს დონორებთან წყალტუბოს პროექტისთვის და-ფინანსების მოსაპოვებლად. საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ზემო სამგორის ირიგაციის რეაბილიტაციის პროექტის მსოფლიო ბანკის ირიგაციის პროექტში შეტანის თაობაზე, ხოლო ათასწლეულის ფონდს დაევალა სამშენებლო პროექტის მომზადების დაფინანსება).

პროექტების რაოდენობის შემცირების კიდევ ერთი მიზეზი ის იყო, რომ წყალმომარაგების პროექტებზე მიმდი-ნარე საპროექტო სამუშაოებმა აჩვენა, რომ სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები ბევრად უფრო ძვირი ჯდებოდა, ვიდრე ეს თავდაპირველად იყო შეფასებული, ამიტომაც საჭირო გახდა მათი დაფინანსების გაზრდა და მომზადების ადრეულ ეტაპზე მყოფ პროექტებზე უარის თქმა.

2007 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება რუსთავის წყალკანალის პრივატიზა-ციის თაობაზე. შესაბამისად, რუსთავის წყალმომარაგების რეაბილიტაციის პროექტიც ამოღებული იქნა დაფი-ნანსების კანდიდატი პროექტების სიიდან.

სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის ტენდერის შედეგებმა ცხადყო, რომ პროექტში არსებული თანხები საქმარისი არ იყო გზის მშენებლობის დასაფინანსებლად. შესაბამისად, გადაწყდა გარკვეული თან-ხების რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტიდან სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტში გადატანა. რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ბიუჯეტი 60 მილიონი აშშ დოლარიდან 43,485 მილიონ აშშ დოლარამდე შემცირდა.

ეს არგუმენტებიც ცხადყოს, რომ კომპაქტის ხელმოწერის მომენტიდან 2008 წლის ოქტომბრამდე რეგიონა-ლური ინფრასტრუქტურის პროექტმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, რაც ძირითადად წევატიური მი-მართულებით განვითარდა - კერძოდ, შემცირდა სარეაბილიტაციო პროექტების რაოდენობა და, გაჭიანურდა ამ პროექტების განხორციელების ვადები, რაც მათ დასრულებას, კომპაქტის მოქმედების პერიოდში ეჭვევეშ აყენებს.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ქუთაისისა და ქობულეთის წყალმომარაგების სისტემის რებილიტაციის პროე-ქტები. ამ პროექტების განხორციელების დროს ნათლად გამოჩნდა, რომ პროექტის შემსრულებლის - საქართვე-ლოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაქირავებული საინჟინრო დიზაინის კონტრაქტორს არ ჰქონდა საკმარისი კვალიფიკაცია, რის მაგალითადაც მიგვაჩნია შემდეგი ფაქტი: საინჟინრო დიზაინის კონტრაქტორის

„გამას“ (საქართველო) და „გაუფის“ (გერმანია) კონსორციუმის მიერ ერთის მხრივ - დაგვიანდა დიზაინის წარმოდგენა, მეორეს მხრივ კი - ეს დიზანი სერიოზული ხარვეზების მქონე აღმოჩნდა. ამ ფაქტს ადასტურებს „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ კვარტალურ ანგარიშში წარმოდგენილი შემდეგი ინფორმაციაც:

„მუნიციპალური განვითარების ფონდმა გამოიყენა მსოფლიო ბანკის მუნიციპალური განვითარების და დე-ცენტრალიზაციის პროექტი || ქუთაისისა და ქობულეთის წყალმომარაგების პროექტების საინიცირო დიზაინის დასაფინანსებლად. დიზანის კონტრაქტორი იყო „გამას“ (საქართველო) და „გაუფის“ (გერმანია) კონსორციუმი. თუმცა, მთავარი პარტნიორი იყო „გამა“, ხოლო „გაუფის“ მონაწილეობა ლიმიტირებული იყო. „გამამ“ დიზანინი წარმოადგინა ოთხი თვის დაგვიანებით, (2007 წლის აგვისტო 2007 წლის აპრილის ნაცვლად) სერიოზული ხარვეზებით. საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია „რამბოლმა“ („რამბოლი“ არის საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია, რომელიც დაქირავებულია მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის მუნიციპალური პროექტების განხორციელებაში დახმარების გასაწევად (PRC) განიხილა დიზანი და 2007 წლის ოქტომბერში „გამას“ მიაწოდა კომენტარები. „გამამ“ 2007 წლის დეკემბერის ბოლოს წარმოადგინა განახლებული დიზანი. „რამბოლმა“ განიხილა განახლებული დიზანი და კვლავ აღმოაჩინა სერიოზული ხარვეზები. შედეგად, ქუთაისის და ქობულეთის პროექტების შესყიდვის პროცესი გადავადდა. ქუთაისის და ქობულეთის წყალმომარაგების პროექტების მიმდინარე სამუშაო გეგმების თანახმად, რომლებიც ერთობლივად შემუშავდა „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ და მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, თუ, ამ ორ პროექტზე სამშენებლო სამუშაოები არ დაიწყება 2008 წლის ბოლოს, პროექტები ვერ დასრულდება კომპაქტის მოქმედების ვადაში. „ათასწლეულის გამოწვევა საქართველომ“, „ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა“ და „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ დაიწყებს კონსულტაციები ამ პრობლემის მოსაგარებლად. „გაუფის“ დაევალა დიზანის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განახლება. ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა გამოთქვა მზადყოფნა დამატებითი დაფინანსება გამოყოფილი დიზანისთვის იმ პირობით, რომ დამატებითი თანხა არ აღემატება 50 000 ევროს თითოეულ პროექტზე. „გაუფის“ დასტირდება სამი თვე დიზანის დასახვენად. ამდენად, სამუშაოების შესყიდვის პროცესი დაგეგმილია 2008 წლის აგვისტო-სექტემბერში, ხოლო მშენებლობა — 2008 წლის ნოემბერ-დეკემბერში. („ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ კვარტალური შედეგების ანგარიში. კომპაქტის მე-2 წელი, მე-4 კვარტალი).“

აღსანიშნავია, რომ ქობულეთის და ქუთაისის წყალმომარაგების პროექტის შემთხვევაში, რომელზეც საუბარია კომპაქტის მეორე წლის მეოთხე კვარტლის ანგარიშში, მიუხედავად დამატებითი ასიგნებების გამოყოფისა, ამ ვადების დაცვა ვერ მოხერხდა. კერძოდ - რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის განმახორციელებლის საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე (www.mdf.org.ge) მითოთებულია, რომ ქობულეთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტზე სამშენებლო სამუშაოებზე ტენდერი გამოცხადდა 2008 წლის 30 ოქტომბერს, სატენდერო წინადადებების გახსნის თარიღი კი 2008 წლის 15 დეკემბერია. ქუთაისის წყალმომარაგების პროექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტენდერი ნოემბრის დასაწყისში არ იყო გამოცხადებული. თავად პროექტის გეგმების შემუშავებელთა ინფორმაციით, ეს ნიშნავს იმას, რომ „სამშენებლო სამუშაოები ამ ორ პროექტზე არ დაიწყება 2008 წლის ბოლოს, პროექტები ვერ დასრულდება კომპაქტის მოქმედების ვადაში“. (იხ. „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ კვარტალური შედეგების ანგარიში. კომპაქტის მე-2 წელი, მე-4 კვარტალი).

1.3. ენერგოეფერასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი

ენერგოეფერასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ახალი კომარენისა გაზსასავის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესრულება. კომპაქტის ხალოებისას, ეს საქმიანობა არ იყო გათვალისწინებული, თავად რეაბილიტაციის შემუშავებელთა ინფორმაციით, ეს ნიშნავს იმას, რომ „სამშენებლო სამუშაოები ამ ორ პროექტზე არ დაიწყება 2008 წლის ბოლოს, პროექტები ვერ დასრულდება კომპაქტის მოქმედების ვადაში“. (იხ. „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ კვარტალური შედეგების ანგარიში. კომპაქტის მე-2 წელი, მე-4 კვარტალი).

ენერგოეფერასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მიზანია ჩრდილო-სამხრეთის მაგისტრალური მილსადენის იმ დაზიანებული უბნების აღდგენა, რომლებიც სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებენ. სულ გათვალისწინებულია 22 უბნის რეაბილიტაცია საერთო ბიუჯეტით - 49,5 მილიონი აშშ დოლარი. პროექტი ასევე ითვალისწინებს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთვის დახმარების განევას ენერგოსექტორის სტრატეგიის შემდგომ დახვენასა და განხორციელებაში.

კომპანია „BP“-ს დახმარებით განხორციელდა ჩრდილო-სამხრეთის გაზის მაგისტრალური მილსადენის მონაკვე-თების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა. „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მენეჯმენტის ინფორმა-ციით, აღნიშნული შესწავლის საფუძველზე მოხდა სარეაბილიტაციო უპნების შერჩევა. რეაბილიტაციის პირვე-ლი ფაზის ფარგლებში დასრულდა სამშენებლო სამუშაოები გაზსადენის ექვს უბანზე. ამჟამად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ჩრდილო-სამხრეთის გაზსადენის რეაბილიტაციის მეორე და მესამე ფაზების და-საწყებად, რომელთა ფარგლებში 17 ობიექტის აღდგენაა დაგეგმილი. (იხ. www.mcg.ge ენერგოინფრასტრუქტუ-რის რეაბილიტაციის პროექტი).

შეგახსნებთ, რომ პროექტის მმართველი კომპანიის – გაზის საერთაშორისო კორპორაციის შერჩევისას გა-მოყენებული იქნა ერთ პირთან მოლაპარაკების ფორმა და ამის არგუმენტად მოყვანილი იყო ის ფაქტი, რომ:

„ეს იყო ერთადერთი კომპანია, რომელსაც პქნდა საქართველოს გაზსადენის რეაბილიტაციის და გამოყენე-ბის გამოცდილება, ისევე როგორც „BP“-სთან ურთიერთობის გამოცდილება. აქვე მითითებულია, რომ ფონდი პროექტის განხორციელებისას შეზღუდული იყო ვადებში, რადგან თანხმობისთვის გაგზავნილ 2006 წლის 31 მარტის წერილის მიხედვით, კონტაქტი ივლისის ბოლომდე უნდა გაფორმებულიყო, რაც გაზის საერთაშორისო კორპორაციას აძლევდა სამუშაოების 2006 წლის აგვისტოდან დაწყების საშუალებას“.

საგულისხმოა, რომ გაზის საერთაშორისო კორპორაციას არაერთგზის შექმნა სწორედ კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები. პროექტის განხორციელებაში შექმნილი პრობლემების პირებულ დასაბუთებაში თავად „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მენეჯმენტი აღნიშნავს, რომ პროექტის განხორციელებას წინასწარ განსაზღვრულ ვადებში ხშირ შემთხვევაში სწორედ საკონსულტაციო მომსახურებაში შექმნილი პრო-ბლემები უშლიდა ხელს, კერძოდ:

„განმახორციელებელი ორგანიზაციის ხელშეკრულება – საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ ვერ შეძლო საერთაშორისო ექსპერტების დაქირავება შემსრულებელი ორგანიზაციის ხელშეკრულების რეა-ლიზაციისას, მისთვის დახმარების განევის მიზნით. ამიტომაც გადაწყდა, რომ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია ახლო მომავალში გამოაცხადებს საერთაშორისო ტენდერს საერთაშორისო ექსპერტების მოწვევის მიზნით.

გარემოს დაცვასთან, ჯანდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები; განსახლების სამოქმედო გეგმა – საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია ვერ ასრულებდა დადგენილ ვადებში ზოგ დოკუ-მენტს, რომელიც აუცილებელია ნებართვის მიღების პროცესში, შესულია მეორე ფაზის სამუშაოების სატენ-დერო დოკუმენტაციის სიაში და ნარმობადგენს მნიშვნელოვან სახელმძღვანელოს ტენდერში პოტენციური მონაწილეებისთვის. გადაწყვეტილების მიხედვით, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის გარემოს დაცვის სამსახური იმუშავებს ძირითადად ამ დოკუმენტების დროულ დასრულებაზე; კორპორაცია დაიქირავე-ბს დამატებით ექსპერტებს, რომლებიც დაეხმარებიან გარემოს დაცვის სამსახურს; კორპორაციის იურიდიული და მიწის სამსახურებიც სათანადო დახმარებას უზრუნველყოფენ მეორე ფაზის სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელებაში.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის/საქართველოს ტრანსპორტირების კომპანიის დახმარება მილსადენის მიერთებაში – „ათასწლეულის გამოწვევა საქართველო“ დათანაბმდა, დახმარება გაეწია საქარ-თველოს ტრანსპორტირების კომპანიისთვის მილსადენის მიერთების ოპერაციების უსაფრთხოდ განხორციე-ლებისათვის კვალიფიკაციის ამაღლებაში. მაგრამ „ემ-სი-ჯი“-მ ვერ შეძლო საერთაშორისო ექსპერტების მოძიება, რომლებიც შეიმუშავებდნენ სათანადო მიერთების პროცედურებს და ჩაუტარებდნენ სწავლებას საქართველოს ტრანსპორტირების კომპანიის თანამშრომლებს. ეს მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან ა) ის დაკავშირებულია ერთ-ერთ წინაპირობასთან, რომ მილსადენის ტექნიკური მომსახურება უნდა მოხდეს „შეთანხმებული სტანდარტების“ მიხედვით, და ბ) რეკომენდირებულია, რომ საქართველოს ტრანსპორტი-რების კომპანიის თანამშრომლებმა გაიარონ სწავლება ზაფხულის ბოლომდე, რათა მათ შეძლონ მიერთების ოპერაციების განხორციელება მეორე ფაზის სარეაბილიტაციო უპნებზე ახალი მიერთების პროცედურების გამოყენებით. „ათასწლეულის გამოწვევა საქართველო“ და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორა-ცია ერთობლივად იმუშავებენ, რათა გამოიყენონ ყველა არსებული საშუალება საერთაშორისო ექსპერტების მოსაზღვევად“. (იხ. „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ კვარტალური შედეგების ანგარიში. კომპაქტის მე-2 წელი. მე-4 კვარტალი).

ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ახალი კომპონენტია გაზსაცავის მშენებლობის ტექ-ნიკურ-ეკონომიკური შესწავლა. კომპაქტის ხელმოწერისას, ეს საქმიანობა არ იყო გათვალისწინებული. და ამ მიმართულების დაფინანსების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ენერგეტიკის სამინისტროს დახმარების ფარგლებში, რაც უდაოდ დადებითი ფაქტორია, რადგან გაზსაცავის მშენებლობა ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

აღსანიშნავია, რომ ამ კომპონენტის შესრულებაში ვადების დარღვევის საკითხი დაისვა 2008 წლის 22 ივლისის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე, სადაც „სხდომის თავმჯდომარები ნიკა გილურმა შეახსენა საბჭოს, რომ კონსულტაციის შერჩევის დავალება „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მიცემული პქონდა ჯერ კიდევ ორი თვის წინ. ამასთან დაკავშირებით, „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი აბდუშელიშვილმა განმარტა, რომ გაზსაცავის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის სამუშაოთა აღწერილობის (TOR) მოსამზადებლად გამოცხადდა ღია ტენდერი. ტენდერში განაცხადი შემოიტანა ორმა კომპანიამ და ეს ტენდენცია განპირობებულია იმით, რომ თუ კომპანია მონანილეობას მიიღებს სამუშაოთა აღწერილობის მომზადებაში, ის ვეღარ ჩაერთვება მინისქვეშა გაზსაცავის ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლაში (რომლის შესრულებაც უფრო აინტერესებს კომპანიებს გამომდინარე ამ სამუშაოს უფრო დიდი მოცულობიდან) ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით“. (იხ. ფონდი „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი №30.)

აღნიშნულ სხდომაზე საბჭოს მიერ განისაზღვრა სამუშაოთა აღწერილობის წარდგენის ვადა – 2008 წლის 1 ოქტომბერი და გადაწყდა, რომ სამუშაოთა აღწერილობა უნდა მოიცავდეს მინისქვეშა გაზსაცავის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის ჩატარებას, საპროექტო სამუშაოების დიზაინსა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებას. (იხ. ფონდი „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი №30.)

„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ შეკითხვაზე, თუ რა ეტაპზეა ამჟამად გაზსაცავის ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლასთან დაკავშირებული სამუშაოები, „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ მენეჯმენტის პასუხი ასეთია:

„თქვენი 27/10/08 წერილის თანახმად, გაცნობებთ, რომ 2008 წლის 8 სექტემბერს ხელშეკრულება გაფორმდა საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე შერჩეულ ამერიკულ კომპანიასთან - „გუსტავსონ ასოშიეტს“-თან. ამ ხელშეკრულების თანახმად მომზადდება საქართველოში გაზსაცავის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის ტექნიკური დავალება, საქართველოში გაზსაცავის განხორციელების პროგრამა და სამოქმედო გეგმა. აღნიშნული კვლევებისა და შესწავლების შედეგები მიმდინარე წლის დეკემბერში იქნება წარმოდგენილი, რომელთა საფუძველზეც მოხდება გაზსაცავის პროექტის განვითარების მომავალი ეტაპების განხორციელება“. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადები გადაიხდა და, კვლევების შედეგების წარდგენა არა ოქტომბერში, არამედ - დეკემბერში მოხდება. შესაბამისად, გადავადდა მინისქვეშა გაზსაცავის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის სამუშაოების დაწყებაც.

აღნიშნული გადავადდების ძირითად მიზეზად „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მენეჯმენტი აგვისტოში ქვეყანაში განვითარებული მოვლენებს ასახელებს, რამაც, კონსულტაცითან ხელშეკრულების დადება დროებით შეაფერება. (დეტალურად იხილეთ ქვეთავში „აგვისტოს საომარი მოქმედებების ზეგავლენა პროექტების განხორციელებაზე“).

1.4. აბრობიზნესის განვითარების პროექტი

აბრობიზნესის განვითარების პროექტის ერთ-ერთი მთავარი არობლება, როგორც თუ წლის განმიზნეული ათვისებული თანხმის გასშჩაგილა ჩანს, გრანტის თანხმის ათვისების დაბალი ზემოქმედების განვითარების მიზანია არსებული წვრილი ფერმერული მეურნეობების გარდაქმნა მომგებიან აგრობიზნესებად, რამაც ხელი უნდა შეუწყოს რეგიონებში აგრობიზნესის განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

პროექტის ფარგლებში გაიცემა გრანტები თანადაფინანსების პრინციპით, პირველადი წარმოების, უკრძალული წარმოების, უკრძალული წარმოების ცენტრების, მცირე გადამამუშავებელი საწარმოების და უწყვეტი საწარმოო ჯაჭვის განვითარებისთვის საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. პროექტის ბიუჯეტია 15 მილიონი აშშ დოლარი, ხანგრძლივობა – 4 წელი. 2006 წლის 24 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება საერთაშორისო ტრანზიტით შერჩეულ კომპანია „სი-ენ-ეფ-ეი“-სთან, რომელსაც ევალება საგრანტო შერჩევის ადმინისტრირება. საპროექტო წინადაღების დახვენა, საგრანტო პროექტების მონიტორინგი.

2006 წლის 2 აგვისტოს ოფიციალურად გაიხსნა აგრობიზნესის განვითარების პროექტი. 2008 წლის 30 ოქტომბრის მდგომარეობით, ჩატარებულია საგრანტო შერჩევის 7 რაუნდი და 2 ტენდერი, რომლის შედეგადაც ხელი მოეწერა 103 საგრანტო ხელშეკრულებას, საერთო თანხით — 4 605 328 აშშ დოლარი. ამ პროექტების განხორციელების შედეგად, ემ სი-ჯი-ს მენეჯმენტის ინიციატივით, სოფლად დაახლოებით 1482 ადამიანი დასაქმდება. (იხ. www.mcg.ge აგრობიზნესის განვითარების პროექტი).

აგრობიზნესის განვითარების პროექტის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, როგორც ორი წლის მანძილზე ათვისებული თანხების მასშტაბიდანაც ჩანს (იხილეთ მონიტორინგის ფიანსური ნაწილი), გრანტების თანხების ათვისების დაბალი ტემპია. სხვა ობიექტურ ფაქტორებთან ერთად, „ათასნლეულის გამოწვევა საქართველოს“ მენეჯმენტი აღნიშნულის ერთ-ერთ მიზნებად „სი-ენ-ეფ-ეი“-ს, ანუ პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის „სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების ნაცენტობით“ ხსნის. (იხ. „ემ-სი-ჯი“-ს კვარტალური შედეგების ანგარიში. კომპაქტის მე-2-ე წელი, მე-4 კვარტალი, გვ.27). ამ პრობლემის მოსაგვარებლად „სი-ენ-ეფ-ეი საქართველოს“-თვის დამატებით 290 696 აშშ დოლარი იქნა გამოყოფილი - „ემ-სი-ჯი“-ს სამეთვალყურეო საბჭომ 2007 წლის 13 დეკემბერს დამტკიცა აღნიშნულ ორგანიზაციისთან გაფორმებული პროექტის მართვის კონტრაქტში შეტანილი შესწორება. (იხ. „ემ-სი-ჯი“-ს კვარტალური შედეგების ანგარიში. კომპაქტის მე-2-ე წელი, მე-4 კვარტალი).

ეს ნიშავს, რომ პროექტის განხორციელების პერიოდში გრანტების გაცემის ტემპის დაბალ მაჩვენებელს დაემატა მისი მენეჯმენტის გაძვირებაც, რაც, თავისთავად, პროექტის განხორციელებაში უარყოფითი ფაქტორია.

გრანტების გაცემის დაბალი მაჩვენებლის ობიექტურ საფუძვლებზე საუბრისას ათასნლეულის გამოწვევის პროექტის მენეჯმენტი ხაზს უსვამს კიდევ ერთ ფაქტორს - „სი-ენ-ეფ-ეი-საქართველოში“ შესული საგრანტო განაცხადების დაბალ ხარისხს. (იხ. „ათასნლეულის გამოწვევა საქართველოს“ კვარტალური შედეგების ანგარიში. კომპაქტის მე-2 წელი, მე-3 და მე-4 კვარტლების ანგარიშები).

საგრანტო განაცხადების დაბალი ხარისხის პროგნოზირება არ უნდა ყოფილიყო რთული, რადგან საქართველოში ზოგადად, და განსაკუთრებით სოფლად, საქმაოდ დაბალია საგრანტო განაცხადების წერის კულტურა. „სი-ენ-ეფ-ეი-საქართველომ“ კომპაქტის მეორე წლის მეოთხე კვარტალში გადაწყვიტა ხელშეკრულებები დაედო სამ ადგილობრივ ორგანიზაციისთან, რათა მათ დახმარება გაენიათ „პერსპექტიული განმცხადებლებისთვის“ - იმ განმცხადებლებისთვის, ვინც წინა რაუნდებში 60-90 ქულა მიიღეს (იხ. „ათასნლეულის გამოწვევა საქართველოს“ კვარტალური შედეგების ანგარიში (კომპაქტის მე-2-ე წელი, მე-4 კვარტალი). ამ გადაწყვეტილების მიღება და, ზოგადად ამ პრობლემის პროგნოზირება პროექტის დაწყების საწყის ეტაპზევე შესაძლებელი იყო, ხოლო პროექტის განხორციელების პირველი რაუნდების შემდეგ - აუცილებელიც კი. დროულად ამ გადაწყვეტილების მიღება უდაოდ შეუწყობდა ხელს გრანტების გაცემის დაბალი ტემპის გარკვეულნილად „დაჩქარებას“.

აგრობიზნესის განვითარების პროექტის შესახებ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის განხორციელებაზე გარკვეული (სხვა დანარჩენ პროექტებთან შედარებით მეტად საგრძნობი) გავლენა მოახდინა აგვისტოს მოვლენებმა საქართველოში (იხ. ქვეთავი აგვისტოს საომარი მოქმედებების ზეგავლენა პროექტების განხორციელებაზე).

1.5. საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი

ფონდი, სხვა პროექტებისგან განსხვავდით, 10 წლიანი, ანუ შედარებით დიდი ვალა აქვს პროექტის მიზნების შესასრულებლად, თუმცა მისი განხორციელების დაბალ ტემპი და პერიოდით მოკრძალებულ ეფექტზე შესრულებული საქმიანობის წარმატების დასაქმდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიზანია ინვესტირების გზით მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განვითარება. ფონდი 10 წელი იარსებებს. მისი პიუჯეტი შეადგენს 32,1 მილიონ აშშ დოლარს და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

კომერციული საინვესტიციო ფონდი – (პიუჯეტი 30 მილიონი აშშ დოლარი); ახორციელებს გრძელვადიან ინვესტიციებს სწრაფად მზარდ ქართულ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში;

საწარმოების ტექნიკური დახმარება – (პიუჯეტი 2 მილიონი აშშ დოლარი) უნდა მოხმარდეს იმ კომპანიების მუშაობის გაუმჯობესებას, რომლებშიც ფონდი განახორციელებს ინვესტიციებს. აგრეთვე, ისეთი კომპანიების ხელშეწყობას, რომლებიც ტექნიკური დახმარების მიღების შედეგად მოსალოდნელია, რომ დააკმაყოფილებენ საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის პირობებს ინვესტიციების მისაღებად.

მრჩეველთა გუნდი – (პიუჯეტი 0,1 მილიონი აშშ დოლარი) მოხმარდება საინვესტიციო გარემოს რეფორმების გუნდის მუშაობის დაფინანსებას. ამ გუნდის საქმიანობა ითვალისწინებს სპეციალური სტრუქტურის შექმნას, რომელიც გააანალიზებს ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო გარემოს და იზრუნებს მის გაუმჯობესებაზე.

რეგიონული განვითარების ფონდი, სხვა პროექტებისგან განსხვავებით, 10 წლიანია, ანუ შედარებით დიდი ვადა აქვს პროექტის მიზნების შესასრულებლად, თუმცა მისი განხორციელების დაბალ ტემპზე და ჯერჯერობით მოკრძალებულ ეფექტზე შესრულებული საქმიანობის ნუსხაც მოწმობს:

„ათასწლელულის გამოწვევის საქართველოს“ მენეჯმენტის ინფორმაციით, 2007 წლის სექტემბერში ფონდმა თავისი პირველი ინვესტიცია განახორციელა კომპანია „დოკი“-ში. ეს ინვესტიცია სამშენებლო მასალების საბითუმო და საცალო ვაჭრობის ქსელის გაფართოებას მოხმარდება. კომპანიას აგრეთვე გაეწია ტექნიკური დახმარება მარკეტინგისა და ფინანსური მართვის ფუნქციების გასაძლიერებლად. 2008 წლის 2 მაისს ფონდის დახმარებით, კომპანია „დოკი“-მ გახსნა სამშენებლო და მოსაპირკეთებული მასალების შოურუუმი - “გლორი“.

2008 წლის 23 მაისს ხელი მოეწერა საინვესტიციო შეთანხმებას კომპანია „რჩეულთან“, რომელიც ავითარებს სასტუმროთა ქსელს საქართველოს რეგიონებში. ინვესტიციის გარდა კომპანიას გაეწია ტექნიკური დახმარება: სასტუმროთა მართვის სტანდარტების განვითარების და დიზაინის საკითხებში; აგრეთვე გამოყეო თანხები მარკეტინგული კვლევის ჩასატარებლად; 2008 წლის 26 მაისს, სიღნაღმი, სასტუმროების ქსელ „რჩეული“-ს ახალი სასტუმრო - „რჩეული ფიროსმანი“ გაიხსნა. (იხ. www.mcg.ge საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდი).

2. აბვისტოს საომარი მოქმედებების ზეგავლენა პროცესის ბანხორისებულებაზე

ომის შედეგად მიღებული პირდაპირი და არაპირდაპირი ზარალის ჯერჯერობით დათვლილი მასშტაბი მნიშვნელოვანი არ არს. ქვეყნისათვის საომარი მოქმედებების სალიკვიდაციოდ გამოყოფილ დახმარებების ფარგლებში პროექტისთვის დამატებით 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფა მოქნილი მენეჯმენტის პირობებში, ცხადია პროექტის ეფექტიანობას გაზრდის.

სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის ერთ-ერთ კონტრაქტორს - კომპანია „აშტრომს“ საქართველო-რუსეთს შორის განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად პირდაპირი ეკონომიკური ზარალი მიადგა. ეს პერიოდი ასევე გამოირჩეოდა ქვეყნის სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირებით. „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ შეკითხვაზე, თუ რა ზეგავლენა მოახდინა საომარმა მოქმედებებმა ათასწლეულის გამოწვევის პროექტების შესრულებაზე, ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის მენეჯმენტის პასუხიასეთია:

“2008 წლის ააგვისტოში საქართველოში განვითარებული მოვლენების შედეგად მთლიანად პროგრამის განხორციელება არ შეფერხებულა, თუმცა საომარმა ვითარებამ პროექტებზე გარკეული ზეგავლენა იქონია.

სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტში გარკეული შეფერხებები აღინიშნა გზის როგორც მე-2, მე-3 და მე-4 („შტრომ ინტერნეიშენების“ კონტრაქტი), ასევე მე-5 და მე-6 მოდიფიცირებულ მონაკვეთებზე („პაპენბურგ/ოსტაში“-ს კონტრაქტი), კერძოდ:

გზის მეოთხე მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოების შეფერხება განპირობებული იყო საწვავის მარაგის უქონლობით (საომარი მდგომარეობის პირობებში კონტრაქტორს სანვაკის მონოდების პრობლემა შეექმნა). თუმცა, კონტრაქტორისთვის მიცემული იყო განსაკუთრებული მითითებები სამშენებლო სამუშაოების გაგრძელებაზე, გზის გამტარუნარიანობის შენარჩუნებასა და მოსახლეობისთვის შეუფერხებელ გადაადგილებაზე. რაც შეხება გზის მე-5 და მე-6 მოდიფიცირებულ მონაკვეთებს, იმ დროისთვის მიმდინარეობდა სამშენებლო კომპანიის მობილიზაციის პროცესი და უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელი კვლევები. თუმცა, საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მგზავრობასთან დაკავშირებით გაცემული გაფრთხილების საფუძველზე, გერმანულ-თურქულმა სამშენებლო კომპანიამ - „პაპენბურგ/ოსტაში“-მა დროებით შეწყვიტა ყველა სახის სამუშაო.

საოკუპაციო ჯარების ქალაქ ფოთში შესვლამ რამდენიმე დღით შეაჩერა სარეაბილიტაციო სამუშაოები ფოთის წყალმომარაგების სისტემაზეც. სამუშაოების შეჩერება განპირობებული იყო კონტრაქტორების მიერ მაროდიორობის შიშით ტექნიკის ქ. ფოთიდან გაყვანით. იმის გამო, რომ ფოთში სამუშაოები წინსწრებით მიმდინარეობდა, ერთკვირიან შეჩერებას არ გამოუწვევია პროექტის დასრულების ვადის გადაწევა.

საომარმა მოქმედებებმა მნიშვნელოვანი გავლენა არ იქონია ენერგოუსაფრთხოების რეაბილიტაციის მიმდინარეობაზე. ამ კუთხით აღსანიშნავია მხოლოდ ჩრდილო-სამხრეთის განსაზღვინის რეაბილიტაციის მეორე ფაზისთვის სამშენებლო ნებართვის მოპოვების პროცესის დაყყვნება 2-3 კვირით და გაზაფავის კონსულტანტთან ხელშეკრულების დადების გადადება აგვისტოდან სექტემბრის დასაწყისისთვის.

პირველადი მონაცემების საფუძველზე, კონფლიქტის არეალში მოხვდა აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში დამტკიცებული 20 საგარანტო პროექტი, საერთო ლირებულებით 679, 252 აშშ დოლარი . ამ პროექტებიდან თოხმა (ივანე ზაქარაშვილი - სოფელი ნიქოზი, მერაბ მჭედლიშვილი, მანანა ფსუტური, გია ლურნეა) მნიშვნელოვნი ზარალი განიცადა. აღსანიშნავია, რომ ის ინფრასტრუქტურა, რომლის განვითარებაზეც იყო ორიენტირებული აგრობიზნესის განვითარების პროექტების უმრავლესობა ფიზიკურად არ განადგურებულა, თუმცა მათი ფინანსური ზარალი მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით ეს შეხება გორისა და კასპის ფერმერთა მომსახურების ცენტრებს. რაც შეხება სამუშაო გეგმის კორექტირებას, ამ ეტაპზე აგრობიზნესის განვითარების პროექტში რამე სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა.

საკონსულტაციო კომპანია „IPM“-მა 2008 წლის ივნისში გამოკითხა ზემოხსენებული 20 პროექტიდან 17-ის განმახორციელებული პირები. არსებული საველე სამუშაოების განრიგის მიხედვით, მიღებული მონაცემები აღწერს სანარმოთა მდგომარეობას კონფლიქტამდე. რაც შეეხება დანარჩენ 3 სანარმოს, მათი გამოკვლევა დასრულდა ომის შემდგომ, აგვისტოს ბოლოს. კვლევის შედეგების თანახმად, ამ 3 სანარმოს რაიმე ფიზიკური ან ფინანსური ზარალი არ მიუღია.

აგრობიზენის პროექტის ფარგლებში გაცემული გრანტების შედეგად მიღებული უკუგების შეფასების მეთოდოლოგიას უზრუნველყოფს ჩიკაგოს უნივერსიტეტთან არსებული „საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრი“. ერთობლივი კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, რომ გამოკვლევის სტანდარტული კითხვარს ჩანართის სახით დაემატებოდა კითხვები, რომლებიც მკვლევარებს საშუალებას მისცემდა ზუსტად აღწერილიყო მიყენებული ზარალი, რადგან შესაძლოა კონფლიქტის გავლენა გასცდა კონფლიქტის რეგიონებს და გარკვეული ზეგავლენა იქონია გრანტის მიმღებ იმ სანარმოებზეც, რომლებიც დაშორებულია კონფლიქტის ზონებიდან.

მაქსიმალური ობიექტურობისათვის, გამოკვლევა ჩანართის გამოყენებით ჩატარდება 2008 წლის დეკემბერში. გამოკვლევის ვადები განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: 1. მოპოვებული ინფორმაცია უნდა აღწერდეს ან სეზონის ან კალენდარული წლის ბოლოს არსებულ მდგომარეობას. 2. სასურველია გამოკითხვა ჩატარდეს ადგილებზე (სანარმოებში,) ამჟამად რამდენიმე სანარმომდე საქართველოს მოქალაქეთა გადაადგილება შეზღუდულია და ასევე გასათვალისწინებელია უსაფრთხოების ზომები. 3. გამოკვლევა უნდა ჩატარდეს ყველა სანარმოში ერთდროულად. 4. კონფლიქტის ზეგავლენის შეფასება სასურველია განხორციელდეს საომარი მოქმედებებიდან გარკვეული დროის გავლის შემდგომ.

საქართველოს რეგიონული განვითარების ფარგლებში ამა წლის მაისში ხელი მოეწერა საინვესტიციო შეთანხმებას სასტუმროთა ქსელ „რჩეულთან“, რომლის თანახმად, ფონდმა კომპანიაში უნდა განახორციელოს 1,8 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია. „რჩეულის“ სასტუმროთა ქსელის ერთ-ერთი სასტუმრო-რესტორანი განლაგებულია სოფ. ქურთაში. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტი იმის შედეგად არ დანგრეულა, კომპანიამ დაკარგა კონტროლი ამ ობიექტზე. (MCG/CEO/OUT1648 26.09.2008 წერილი)

ამდენად, აგვისტოს საომარი მოქმედებების ზეგავლენის მასშტაბის ზუსტი შეფასება წლის ბოლოსთვის გახდება შესაძლებელი. შეფასების მეთოდოლოგიის ადეკვატურობა მომავალი წლის მონიტორინგის განხორციელების დროს იქნება შესაძლებელი.

3. "ათასნების ბამოწვევის პრობემის" ფაჩხლაბში ბამოყოფილ თანხების ათვისების ღიამინა

აირველ პროგრამულ წელს, თანხების მხოლოდ უანიშვნელო რაოდენობა იქნა ათვისებული, ხოლო ამის შემდეგ მოვალი მომდევნო პროცესის დასახილისათვის ადგილი კოდელა ჯავახი ათვისებული თანხების ზრდის სამართლებული თავისების ზარდაციას. მოვალი პროცესის დასახილისათვის ფაქტობრივად ათვისებული თანხების მოცულობა მნიშვნელოვანი ჩამოვარდისა მარადების გამოსახული გათვალისწინებულ სამუშაოთა მხოლოდ ფინანსური ასპექტი ანუ ფულადი პარამეტრების ცვლილების დინამიკა, როგორც მთლიანად პროექტის, ისე მისი შემადგენელი კომპონენტების კონტრესტში. საანალიზო პერიოდი მოიცავს „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ საქმიანობის პერიოდს 2007 წლის 1 ოქტომბრამდე.

წინამდებარე მიმოხილვის მიზანია ანალიზი, თუ რამდენად შესაბამება პროგრამის მოქმედების პერიოდში გახარჯული თანხების მოცულობა მრავალწლიანი გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს. ქვემოთ განხილულია კომპაქტით გათვალისწინებულ სამუშაოთა მხოლოდ ფინანსური ასპექტი ანუ ფულადი პარამეტრების ცვლილების დინამიკა, როგორც მთლიანად პროექტის, ისე მისი შემადგენელი კომპონენტების კონტრესტში. საანალიზო პერიოდი მოიცავს „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ საქმიანობის პერიოდს 2007 წლის 1 ოქტომბრამდე.

3.1. ბამოყვანებული მეთოდოლოგია

კომპაქტით გათვალისწინებულ სამუშაოთა ეფექტიანობის შესაფასებლად ანალიზი ეყრდნობა „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მიერ ყოველკვარტალურად მომზადებულ თანხის გაცემის მოთხოვნის ფორმებს, მათგან თანდართულ ფინანსურ ანგარიშებსა და მრავალწლიან ფინანსურ გეგმას, რომელიც უკანასკნელად 2007 წლის 20 მარტს განხილდა. გარდა ამისა, გამოყენებულია „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მიერ მომზადებული დოკუმენტები, რომლითაც დადგენილია ეკონომიკური უკუგების განაკვეთები (ERR). ხარჯების ათვისების ტენდენციების გამოსაკვეთად, გამოყენებულია პირველი პროგრამული წლის, ანუ 2007 წლის აპრილამდე არსებული მონაცემები მთლიანად და არა კვარტალების მიხედვით. ისევე როგორც 2007 წლის 1 აპრილიდან 2008 წლის 1 ივლისს ჩათვლით მომზადებული ფინანსური ანგარიშები. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მესამე პროგრამული წლის მეორე კვარტალი ჯერ დასრულებული არ არის, ამიტომაც ამ პერიოდის თანხის გაცემის მოთხოვნის ფორმა მიჩნეულია თანხების ათვისების საპროგნოზო და არა ფაქტობრივ მაჩვენებლად, როგორც ეს წინა კვარტლების შემთხვევაშია. ამ დოკუმენტების გამოყენებას საფუძვლად უდევს შემდეგი გარემოებები:


ხარჯების ეფექტიანობის შესაფასებლად შედარებულია ფაქტობრივად გახარჯული თანხების ყოველკვარტალური მოცულობა, 2007 წლის 20 მარტს განახლებული ოთხი კვარტლის მუდმივად განახლებადი ფინანსური გაგმა და მრავალწლიანი ფინანსური გეგმა. 2007 წლის 20 მარტს განახლებული ოთხი კვარტლის მუდმივად განახლებადი ფინანსური გეგმისა და მრავალწლიანი ფინანსური გეგმის დასაწყისი ემთხვევა წარმოდგენილი ანალიზის მომზადების დროს. ანალიზის დასკვნით ნაწილში გამოყენებულია „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მიერ შემუშავებული ეკონომიკური უკუგების განაკვეთებიც, იმის წარმოსაჩენად, თუ რა უარყოფით შედეგებს უკავშირდება პროგრამული ხარჯების დაგვიანებით ათვისება.

3.2. თანხების ათვისების ღიამინა ანალიზი

ქვემოთმოყვანილ დიაგრამაში წარმოდგენილია მეორე პროგრამული წლის პირველი კვარტლიდან 2008 წლის 1 ოქტომბრამდე ხარჯების ფაქტობრივი ჯამური ათვისება, რაც აღებულია თანხების მოთხოვნის ყოველკვარტალური ფორმებიდან. იმის გამო, რომ მესამე პროგრამული წლის მეორე კვარტალი ჯერ არ დასრულებულა, 2008 წლის 1 ოქტომბრისათვის დაგეგმილი ასათვისებული თანხები, ისე როგორც ეს 1 ივლისს მომზადებულ თანხების მოთხოვნის ფორმასა და ფინანსურ ანგარიშებია ნაჩვენები, აქ აღნიშნულია როგორც ფაქტობრივი ათვისება, მოსალოდნელი ტენდენციის საჩვენებლად.

თვალშისაცემია ის გარემოება, რომ 2007 წლის 1 აპრილისათვის, ანუ პირველ პროგრამულ წელს, თანხების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა იქნა ათვისებული, ხოლო ამის შემდგომ ყოველი მომდევნო პერიოდის და-

ეიბაზა 1.
თანხების ფაქტობრივი ჯამური ათვისება აუზის განვითარების მიზანი აშშ ემცენი




საწყისისათვის ადგილი ჰქონდა ჯამური ათვისებული თანხების ზრდის საკმაოდ ნელა ათვისების ტენდენციას. ყოველი პერიოდის დასაწყისისათვის ფაქტობრივად ათვისებული თანხების მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამოუგრძებოდა მრავალწლიანი ფინანსური გეგმით გათვალისწინებულს. მესამე პროგრამული წლის პირველი კვარტლის ფინანსური დოკუმენტების მიხედვით, „ათასწლეულის გამოწვევა საქართველო“ გეგმავს მეორე კვარტალში თანხების ათვისების მკვეთრ ზრდას. თუ რამდენად განხორციელებადია ეს გეგმა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

საქართველოში აგვისტოს ოვეში განვითარებული მოვლენების შედეგად, მესამე პროგრამული წლის მეორე კვარტალში თანხების ფაქტობრივი ათვისება საგარაუდოდ დაგეგმილზე ნაკლები იქნება, რაც მომავალში აუცილებელს გახდის შემდგომი კვარტალებისათვის გასაწევი სამუშაოების ინტენსივობისა და დაფინანსების კიდევ უფრო სწრაფად, ნახტომისებურად ზრდას, რამაც შესაძლოა ერთგვარად გაზარდოს მთლიანად კომპაქტის ფარგლებში გათვალისწინებული საქმიანობის მართვასთან დაკავშირებული როგორც ადმინისტრაციული, ისე ფინანსური სირთულეები.

დიაგრამა №2-ში მოყვანილია „ათასწლეულის გამოწვევის“ პროგრამის ფარგლებში კვარტლების მიხედვით ფაქტობრივად ათვისებული თანხების დინამიკა, მეორე პროგრამული წლის პირველი კვარტლიდან მესამე პროგრამული წლის მეორე კვარტლის ჩათვლით, ხოლო ცხრილ №1-ში დამატებულია მესამე პროგრამული წლის მეორე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლებიც. მესამე პროგრამული წლის პირველი კვარტლის ჩათვლით, საკმაოდ კარგად იკვეთება ათვისებული მთელი თანხების დინამიკის ერთგვარი სტაგნაცია და შემდგომში შემცირებაც კი. ეს განსაკუთრებით ეხება ყველაზე მსხვილი, რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის თანხების ათვისებას. ალბათ, სწორედ ამის გამო გეგმავს „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ ხელმძღვანელობა ხარჯების მკვეთრ ზრდას მესამე პროგრამული წლის მეორე კვარტალში, ვინაიდან რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია კომპაქტის ყველაზე მსხვილი კომპონენტია და მას ქვეყნისათვის პოზიტიური ეკონომიკური ეფექტის მოტანა შეუძლია. ფაქტობრივად, თანხების კვარტალური ათვისება ამ კვარტალში აქამდე არსებულთან შედარებით, დაახლოებით სამჯერ უნდა გაიზარდოს. სავარაუდოდ, თანხების ამგვარი ზრდა ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით არამდგრადია, მით უმეტეს, რომ მრავალწლიანი ფინანსურ გეგმაში ხარჯების ასეთი მკვეთრი რყევები პროგნოზირებული არ არის და კომპაქტის მოქმედების 5 წელი სავსებით საკმარისია ხარჯების მეტ-ნაკლებად გამოსათანაბრებლად.

ეიბჩამა 2.
თანხაზის ფაქტობრივი ჯამური ათვისება ავანსებისა და პოლიტიკური მიხედვით




სხეული #1 პარტნიორის ღარისებისათვის ჯამური ათვისებაცი თანხაზის ფაქტობა მთელ თანხაზან

	01.04.07	01.07.07	01.10.07	01.01.08	01.04.08	01.07.08	01.10.08
რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი:	0,99	3,03	5,34	6,93	7,83	8,96	16,01
სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაცია	0,00	0,00	0,00	0,12	0,12	0,39	10,24
რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება	0,18	0,24	0,48	1,50	3,51	3,96	4,44
ენერგეტიკის რეაბილიტაცია	4,02	12,66	22,27	27,58	28,99	32,69	41,95
საწარმოთა განვითარების პროექტი:	1,42	2,55	4,02	7,43	10,62	12,34	14,70
საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი	0,04	0,95	2,23	6,04	9,11	10,05	11,19
აგრობიზნესის განვითარების პროექტი	4,40	6,02	7,90	10,43	13,89	17,32	22,32
მონიტორინგი და შეფასება	0,75	1,24	2,23	2,88	4,25	4,60	8,70
ადმინისტრირება და კონტროლი:	8,65	13,55	16,50	21,07	26,15	27,74	31,70
პროგრამის ადმინისტრირება	12,15	16,18	21,13	25,40	31,06	34,31	40,35
აუდიტი	0,00	0,53	3,06	4,49	8,05	8,39	9,76
ფისკალური და შესყიდვების მართვა	7,14	13,93	14,96	20,58	25,43	25,65	28,13
სულ	1,75	3,87	6,06	8,19	9,86	11,10	17,03

№1 გრაფიკში აღნიშნულია ორი პროგრამული მიმართულების ფარგლებში გახარჯული ჯამური თანხები შესაბამისი პერიოდის დასაწყისისათვის. „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ კომპაქტით გათვალისწინებული პროექტები ძალიან ნელა მიმდინარეობს. აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში ათვისებულია მთელი თანხების 18%, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპაქტის მოქმედების ამონტურვამდე 11 კვარტალში უნდა იქნას ათვისებული მთელი თანხის 82%, ან საშუალოდ დახსლოებით 8% კვარტალურად, მაშინ როცა აქამდე საშუალოდ მხოლოდ 1.8%-ის ათვისება ხდებოდა. საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში კვიმისათვის, რომ კომპაქტით გათვალისწინებულ ვადებში მოესწროს თანხების სრულად ათვისება, შემდგომში კვარტალურად საშუალოდ კვარტალისათვის მთელი თანხის 8.8% უნდა იხარჯებოდეს, მაშინ როცა აქამდე ეს მაჩვენებელი დახსლოებით 1% შეადგენდა.

ბიუროს 1.
პარტნერთა მოვა თანხასთან



ესაბამის 3.
პარტნერთა მოვა თანხასთან



დიაგრამა №3-ში გაშლილია რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულების სამი პროექტის ფარგლებში ათვისებული თანხების დინამიკა. აქ აღსანიშნავია ენერგეტიკის რეაბილიტაციის პროექტის თანხების ათვისებაში არსებული შედარებით დადებითი ტენდენცია, სადაც სხვა პროექტებთან შედარებით ყველაზე სწრაფად ხდება თანხების ათვისება, თუმცა მისი ტემპი მაინც ჩამორჩება მრავალწლიანი ფინანსური გეგმის მიხედვით დაგეგმილს. 2008 წლის 1 ივლისისათვის რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტით გათვალისწინებული თანხების მხოლოდ 4% იქნა ათვისებული, ხოლო სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტით ფარგლებში ათვისებული თანხები უმნიშვნელოა. ეს მეტად გაართულებს ამ უკანასკნელი პროექტის თავდაპირველ ვადებში დასრულების პერსპექტივას მისი სიდიდიდან ისევე როგორც მისი შრომატევადი და კაპიტალტევადი ბუნებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები მგრძნობიარეა მაკროეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორებისადმი,


მიმდინარე წლის ზაფხულში კი საქართველოში საკმაოდ არახელსაყრელი პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები წარმოიქმნა.

კომპაქტით გათვალისწინებული კვარტალური ხარჯების ეფექტიანობის უკეთ წარმოსაჩენად, დიაგრამა №4-ში ნაჩვენებია პირველი ფისკალური წლისა და შემდგომი ოთხი კვარტლის განმავლობაში ასათვისებელი თანხებისა (მრავალწლიანი გეგმის მიხედვით) და რეალურად ათვისებული თანხების სხვაობის ფარდობა ასათვისებელ თანხებთან. დიაგრამიდან წათლად იკვეთება, თუ რამდენად ჩამორჩება პროგრამული კომპონენტების ხარჯები მრავალწლიანი გეგმით გათვალისწინებულს.


გეგმიდან გადახრა ყველაზე თვალშისაცემია მონიტორინგსა და შეფასების კომპონენტისათვის, თუმცა ეს არცაა გასაკვირი შესასრულებელი სამუშაოების დაგვიანების ფონზე. გარდა ამისა, მონიტორინგისა და შეფასების ნაწილს მთელს კომპაქტში ფინანსური თვალსაზრისით შედარებით ნაკლები ადგილი უკავია და აქ არსებული ჩამორჩენა საგანგაშო ნამდვილად არ არის. იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო სამუშაოები უფრო სწრაფი ტემპით წარიმართება, მაშინვე გაიზრდება მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტით გათვალისწინებული თანხების ათვისების ტემპიც. რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტში არსებული ჩამორჩენის სტაბილური ხასიათი პროექტის ეფექტიანობას საფრთხეს უქმნის. მით უფრო, რომ ეს ჩამორჩენა უმნიშვნელო ზრდის ტენდენციითაც კი ხასიათდება და დაახლოებით 80%-ის ფარგლებშია. ერთგვარად დამაიმედებელია მეორე პროგრამული წლის მეოთხე კვარტალში საწარმოთა განვითარების პროექტის თანხების ათვისებაში დაფიქსირებული დადგებითი ტენდენცია. ამ პერიოდში მრავალწლიანი ფინანსური გეგმიდან ჩამორჩენა დაახლოებით 10% იყო. მიუხედავად ამისა, ძნელია იმის თქმა, რომ ეს უკვე გამოკვეთილი ტენდენციაა, მითუმეტეს, რომ წინა ოთხ პერიოდში ჩამორჩენა საშუალოდ დაახლოებით 60%-ს შეადგენდა.

თანხების ათვისების მრავალწლიან გეგმასთან რეალური ათვისებით შესაბამისობაში ყველაზე ახლოს ადმინისტრირებისა და კონტროლის კომპონენტია. ეს გასაკვირი არც არის, თუ ადმინისტრაციულ ხარჯს პროექტის მუდმივ ზედნადებ ხარჯად გავაზრებთ. საგულისხმოა ისიც, რომ ორი პერიოდის განმავლობაში ამ კომპონენტის მიერ თანხების ფაქტორივი ათვისება აღმატებოდა მრავალწლიანი ფინანსური გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელს, რაც ძირითადად ფისკალური აგენტისა და შესყიდვების კომპონენტზე მოდიოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ დიაგრამა №4-ის მიხედვით პროგრამის ადმინისტრირების ხარჯები პრაქტიკულად კორელაციაში არ არის პროექტების დასაფინანსებლად განწყობა ხარჯებთან, თუმცა ყველა წინა კვარტლის განმა-



ბიუჯეტი 2.
ახორციელებული ხარჯების ფაზების მოციან პროცენტული ხარჯებთან



ვლობაში ამ კომპონენტისათვის მთლიანი დაფინანსების მაქსიმალური ვარიაცია არ აღემატებოდა 2.5 მილიონ აშშ დოლარს. შესაძლებელია გარკვეული პრობლემები წარმოიქმნას იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ხარჯების შედარებითი სტაბილურობის პირობებში მკვეთრად გაიზრდება შესასრულებელი სამუშაოებისათვის გამოყოფილი ხარჯები. ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს გრაფიკი №2

გრაფიკი №2-ში შედარებულია ადმინისტრაციული ხარჯების მთლიან ხარჯებთან ფარდობის დინამიკა მრავალწლიანი ფინანსური გეგმისა და თანხის მოთხოვნის ფორმაზე თანდართულ ფინანსურ ანგარიშებში ასახული მონაცემების მიხედვით. როგორც მოსალოდნელია, მრავალწლიანი ფინანსური გეგმა სათანადოდ ასახავს იმ ფაქტს, რომ ხშირ შემთხვევაში პროექტების დასაწყისი ასოცირდება დიდ ადმინისტრაციულ ხარჯებთან, რაც უკავშირდება შესწავლისა და პროგრამით შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვას, მაშინ როდესაც უშუალოდ საპროგრამო საქმიანობისათვის გამოყოფილი თანხების გაცემა მოგვიანებით იწყება. თუ მრავალწლიანი ფინანსურ გეგმის მიხედვით განერილ ადმინისტრაციული და მთელი ხარჯების ფარდობისა და რეალურად ათვისებული ადმინისტრაციული და მთელი ხარჯების ფარდობის შედარებას პროგრამის მიმდინარეობის ეფექტუანობის ერთგვარ კრიტერიუმად მივიჩნევთ, ცხადია, რომ პირველი და მეორე საპროგრამო წლის საქმიანობის ეფექტუანობა ამ თვალსაზრისით არც თუ ისე მაღალია. თუ დასაშებად მივიჩნევთ იმას, რომ გარკვეული სუბიექტური მიზეზების გამო შესაძლოა ფაქტობრივად განეული ადმინისტრაციული ხარჯების შედარებით მაღალი წილი მთელს ხარჯებში ობიექტურად არსებული სირთულეებით იყო განიორბებული, მაშინ მეორე საპროგრამო წლის განმავლობაში მთლიან ხარჯებთან მიმართებაში ადგილი უნდა ჰქონდა ადმინისტრაციული ხარჯების წილის შემცირების ტენდენციას. მიუხედავად ამისა, განსახილველი პერიოდის შუა მონაცემთიდან ადგილი აქვს ადმინისტრაციული ხარჯების მთლიან ხარჯებთან ფარდობის არასასურველ მატებას, რაც შეიძლება აიხსნას პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხების დაგვიანებით ათვისებით, ან ადმინისტრაციული ხარჯების შედარებით სწრაფად, ნაკლები ეფექტუანობით ათვისებით. იმის გამო, რომ ადმინისტრაციული წანილის ხარჯების ტემპი ჩამორჩება მრავალწლიანი გეგმით გათვალისწინებულს, მაშინ ადგილი აქვს პროექტების დაფინანსების კიდევ უფრო ნელი ტემპით ათვისებას. აქედან გამომდინარე, უფრო ფრთხილად უნდა იქნას შერჩეული მომავალში პროექტებისათვის განკუთვნილი სახსრების ათვისების ტემპები, რათა მათი მიღწევა შესაძლებელი იყოს „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ ხელთ არსებული ადამიანური და ინსტიტუციური რესურსების ფონზე.

3.3. პროგრამული ხარჯების დაგვიანების შესაძლო უარყოფითი შეღება

ცხრილში №2 მოყვანილია გაანგარიშებები, საიდანაც იკვეთება, თუ რა უარყოფით შედეგებთან ასოცირდება პროგრამის ფარგლებში თავდაპირველად განერილი თანხების გახარჯების დაგვიანება. ფინანსური ანალიზის ძირითადი პოსტულატი გულისხმობს იმას, რომ ესა თუ ის პროექტი მომგებიანია თუკი მისი დისკონტირებული შემოსავლითი ნაწილი მეტია ხარჯვით ნაწილზე. ქვემოთმოყვანილ ცხრილში დაშვებულია, რომ პროექტების ხარჯვითი ნაწილი მომავალში, სულ მცირე, იმავე სიდიდის შემოსავლების მომტანი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში პროექტის განხორციელებას აზრი არ ექნებოდა. ანუ იგულისმება, რომ თუ ამა თუ იმ ნელს პროგრამამ დააგვიანა X მოცულობის ხარჯის განევა, შესაბამისად დაგვიანდება მინიმუმ X მოცულობის შემოსავლის მიღება. ცხადია, ამ შემთხვევაში ხარჯიცა და შემოსავალიც შესაბამისი პერიოდის დისკონტი განაკვეთითაა დისკონტირებული. სუბიექტური მიდგომის მაქსიმალურად თავიდან ასაცილებლად, დისკონტის განაკვეთად აღებულია თვითონ „ათასწლულის გამოწვევა საქართველოს“ ფარგლებში შემუშავებული ეკონომიკური უკუგების განაკვეთის (ERR) მაჩვენებლები. ეს პარამეტრი ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მეორე სვეტშია შესაბამისი პროექტების გასწვრივ. ცხრილის მესამე და მეოთხე სვეტში მოყვანილი მონაცემები ასახავს იმას, თუ რამდენად ჩამორჩება თითოეული ამ პროექტის ფარგლებში გახარჯული თანხების მოცულობა მრავალნიანი ფინანსური გეგმით დადგენილ შესაბამის მიზნობრივ მაჩვენებელს. აქედან მესამე სვეტში მოყვანილი მონაცემები დისკონტირებული არ არის, რადგანაც დავუშვით, რომ ხარჯებს დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა უკუგება. გარდა ამისა, მესამე სვეტში მოყვანილი მონაცემების დისკონტირება პროპორციულად გადასწრება შემდგომ სვეტში მოყვანილი მონაცემების დისკონტის პერიოდებს, რაც საბოლოო შედეგზე არსებით ზეგავლენას ვერ იქონიებდა. ამგვარად, მეოთხე სვეტში დისკონტირებულია „თანხების ათვისებაში არსებული ჩამორჩენა“ პროგრამის მეორე წლისათვის შესაბამისი დისკონტის ნორმის პირველ პერიოდზე გადაანგარიშებით. მესუთე სვეტი აჩვენებს ჯამურ დისკონტირებულ დანაკარგს რაც გამოყვანილია, როგორც პირველი და მეორე წლის განმავლობაში გასაწევი ხარჯების ჩამორჩენით განპირობებული დისკონტირებული დანაკარგი. თუ დავუშვებთ იმას, რომ მესამე და მეოთხე წლებში მოხერხდება შესაბამისად პირველ და მეორე წლებში მომხდარი დანაკარგის სრული აღმოფხვრა (თუმცა მოხერხდება თუ არა ეს შემდგომში, გაურკვეველი რჩება), მაშინ მეექსე და მეშვიდე სვეტში მოყვანილი რიცხვების ჯამი (რაც ნარმოადგენს მესამე და მეოთხე სვეტის მონაცემების დისკონტირებას შესაბამისად მეორე და მესამე პერიოდით) უნდა გამოაკლეს მეორე და მესამე სვეტში ჯამს იმის საჩვენებლად, თუ რას შეადგენს საბოლოო დისკონტირებული დანაკარგი პირველი ორი წლის განმავლობაში განერილი ხარჯების დაგვიანების შედეგად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მომდევნო 2 წლისადში სრულად დაიფარება ამ დაგვიანების შედეგად შექმნილი ჩამორჩენა. საბოლოო შედეგი მოცემულია „დისკონტირებული

სხესი #2

	დისკონტი	I წელი	II წელი	ჯამი	III წელი	IV წელი	ჯამი	დისკონტირებული სხვაობა, როგორც საერთო დანაკარგი
სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაცია	20%	0	20748398	20748398	0	12007174	12007174	8741223
რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება	12%	231700	2732876	2964576	184710	2178632	2363342	601234
ენერგეტიკის რეაბილიტაცია	12%	2095052	9036538	11131590	1670163	7203872	8874035	2257555
საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი	26%	74312	1467654	1541966	46808	924448	971256	570710
აგრობიზნესის განვითარების პროექტი	12%	1066728	3596369	4663097	850389	2867003	3717392	945705
სულ		3467792	37581834	41049626	2752069	25181130	27933199	13116426

სხვაობის“ სვეტში. ამგვარი გაანგარიშებით, პროგრამული ხარჯების გადადების მინიმალური ჰიპოთეტიკური (ამ შემთხვევაში ფინანსური) დანაკარგი 13 მილიონ ლიარს აღემატება. ამ დეფიციტის აღმოფხვრა შესაძლებელია პროგრამული ხარჯების მკვეთრი ზრდით მომდევნო პერიოდში, თუმცა ასეთი შესაძლებლობა საეჭვოა დარჩენილი ხარჯების არსებული სტრუქტურის პირობებში და ადამიანური და ინსტიტუციური რესურსის დამატების გარეშე. ასეთი შესაძლებლობის არსებობის პირობებშიც კი, ხარჯების მკვეთრი ზრდა ყოველთვის შეიცავს პროგრამის მართვაში შეცდომის დაშვების რისკს, ადმინისტრაციული და ფინანსური მართვის გართულებას და სხვა პოტენციურად უარყოფით შედეგებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა დაახლოებით ორი წელი და ექვსი თვეები ფუნქციონირებს და ამ ხნის განმავლობში უკვე მეტივიდ გამოიყვეთა თავდაპირველად გათვალისწინებული ხარჯებისაგან ჩამორჩენის ტენდენცია. პროექტის ფარგლებში დასაფინანსებელი რამდენიმე პროექტიდან პროგრამით გათვალისწინებული დროის თითქმის ნახევრის გასვლის შემდეგაც კი (2008 წლის 1 ივლისისათვის), მხოლოდ ერთის, ენერგეტიკის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში მოხერხდა თანხების დაახლოებით 30%-ის ათვისება. ყველა დანარჩენ შემთხვევაში გამოყოფილი თანხების ათვისება 20%-ზე ნაკლებია, ხოლო სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციისა და რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებისათვის ანალოგიური მაჩვენებლები 5%-ზე ნაკლებია. მიუხედავად იმისა, რომ „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ განზრახული აქვს მიმდინარე კვარტალში თანხების ათვისების მაჩვენებლის ამბიციური ზრდა (ჩვენს ხელთ არსებულ ფინანსურ გემებზე დაყრდნობით), ნარსულში არსებული ტენდენციების, ასევე ობიექტურად არსებული დროის დეფიციტისა და შესაძლო ინსტიტუციური, ადმინისტრაციული (ამაში იგულისხმება ის, რომ ხარჯების მეტად სწრაფმა ზრდამ შესაძლოა პროექტის თავდაპირველი დიზაინის გადახედვა მოითხოვოს და ასევე იმას, რომ გაზრდილი თანხების უფრო სწრაფად განკარგვას იმაზე მეტი ადმინისტრაციული და ინსტიტუციური რესურსი დასჭირდება, ვიდრე ეს იყო გათვალისწინებული) შეზღუდვებისა და აგვისტოს თვეში მომხდარი უარყოფითი მოვლენების ფონზე, საეჭვოდ მიგვაჩნია პოზიტიური მიმართულებით სწრაფად შეიცვალოს თანხების ათვისების დინამიკა. უახლოეს მომავალში კომპაქტის მიმდინარეობის ფინანსური მახასიათებლების დინამიკა დაახლოებით იგივე დარჩება.

საქართველოში საომარი მოქმედებების შემდგომ აშშ-ს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამისათვის“ საანგარიშო პერიოდში დამატებით 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის შესახებ, რამაც მომავალში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დასრულებას უნდა შეუწყოს ხელი. აღნიშნული ტრანზი პროგრამას დასახული ამოცანების შესრულების შანსს აძლევს, თუმცა, ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ პროგრამის ეფექტიანობაში არსებული ზემოთმოყვანილი ხარვეზების აღმოფხვრის გარეშე, შესაძლებელია ამ თანხების ათვისებაც ვერ მოხერხდეს და საფრთხის ქვეშ დადგეს მთლიანად კომპაქტით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულება.

4. ლასჯრები

„ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა“ დაახლოებით ორი წელი და ექვსი თვეა მიმდინარეობს. ამ პერიოდში უკვე გამოიკვეთა თავდაპირველად დაგეგმილი ხარჯების ათვისების მკვეთრად ჩამორჩენის ტენდენცია. კომპაქტით გათვალისწინებული დროის თითქმის ნახევრის გასვლის მოუხდავად, მხოლოდ ერთი პროექტის – ენერგეტიკის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში მოხერხდა თანხების დაახლოებით 30%-ის ათვისება. ყველა დანარჩენ შემთხვევაში გამოყოფილი თანხების ათვისება 20%-ზე ნაკლებია, ხოლო სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციისა და რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებისათვის ანალოგიური მაჩვენებლები 5%-ზე ნაკლებია. ათვისებულ თანხებს შეესაბამება განხორციელებული სამუშაოების მასშტაბიც, რაც ნიშნავს, რომ პროექტების უმეტესობა კომპაქტის დაწყებიდან ორი წლისა და ექვსი თვის შემდეგაც განხორციელების საწყის ფაზაშია.

სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის შესრულებაში შექმნილი პრობლემების შედეგად, პროექტის ღირებულება გაძირდა 102,2 მილიონი აშშ დოლარიდან 123,6 მილიონ აშშ დოლარამდე. გარდა ამისა, კომპაქტის მიხედვით, თავდაპირველად დაგეგმილი იყო გზის რეაბილიტაცია ექვს ძირითად მონაკვეთზე (ლოტზე). 2008 წლის ოქტომბრის მონაცემებით ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის არსებული ბიუჯეტი სრულად მხოლოდ სამი ლოტის რეაბილიტაციის ფარავს. ლოტების მოდიფიცირების შედეგად, ორ ლოტზე შემცირებულია თავდაპირველად განსაზღვრული სარეაბილიტაციო გზის სიგრძე. დარჩენილი ერთი ლოტის რეაბილიტაცია კი მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსდება. დღეისათვის, კომპაქტით გთვალისწინებული თავდაპირველი 245 კილომეტრის ნაცვლად, დაახლოებით 170,9 კილომეტრის სიგრძის გზის რეაბილიტაცია დაგეგმილი.

რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის გაძირების გამო შეუმცირდა დაფინანსება 60 მილიონი აშშ დოლარიდან 43,485 მილიონ აშშ დოლარამდე. გარდა ამისა, რეგიონული ინფრასტრუქტურის პროექტის განხორციელებაში გამოიკვეთა კიდევ ერთი პრობლემა – პროექტის მენეჯმენტის მიერ შერჩეული კონტრაქტორის დაბალი კომპეტენცია. 2008 წლის განმავლობაში შემცირდა წინასწარ შერჩეული დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა – დაფინანსების კანდიდატი წყალმომარაგების შვიდი და ორიგაციის სამი პროექტიდან, დღეისთვის წყალმომარაგების მხოლოდ ხუთი პროექტის დაფინანსება იგეგმება. კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ასევე შემცირებული მასშტაბის სამუშაოების დასრულებაც კომპაქტის მოქმედების ვადაში.

ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტში ერთერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა კონტრაქტორის – საქართველოს ნაცობისა და გაზის კორპორაციის – კომპეტენცია და კვალიფიციური ექსპერტების დეფიციტი, რამაც რეაბილიტაციის ვადების არაერთგზის გადაწევა და დამატებითი კონსულტაციების მოწვევის აუცილებლობა გამოიწვია.

აგრობიზნესის განვითარების პროექტის მთავარი პრობლემა თანხების ათვისების ტრადიციულად დაბალი ტემპია. ემ-სი-ჯი-ს მენეჯმენტი აღნიშნულის ერთ-ერთ მიზეზად კონტრაქტორი კომპანია „სი-ეფ-ენ-ერ“-ს „სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების ნაკლებობით“ ხსნის. თუმცა, ეს კომპანია ემ-სი-ჯი-ს მიერ ჩატარებული ტენდერის ფარგლებში იქნა შერჩეული, რაც ემ-სი-ჯი-ს პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს. არასაკმარისი კომპეტენციის მოტივით პროექტის მართვაზე გამოიყოფილი თანხა 290 696 აშშ დოლარით გაძირდა. პროექტის შესრულების დაბალი ტემპის გამო მინიმალურია გაცემული გრანტების ოდენობა და, შესაბამისად, პროექტის ეფექტი. დღეისათვის, აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში გამოვლინდა 113 გამარჯვებული პროექტი 4,6 მლნ დოლარის საერთო ლირებულებით. საყურადღებოა, რომ ალნიშნული 4,6 მლნ აშშ დოლარის ათვისებაც არ მომხდარა სრულად. აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში ათვისებულია მთელი თანხების 18%, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპაქტის მოქმედების ამონტურვამდე – დარჩენილ 11 კვარტალში უნდა იქნას ათვისებული მოელი თანხის 82%, ან საშუალოდ დაახლოებით 8% კვარტალურად, მაშინ როცა აქამდე საშუალოდ მხოლოდ 1.8%-ის ათვისება ხდებოდა.

თანხების ათვისების დაბალი ტემპი ქმნის საფრთხეს, რომ კომპაქტის მოქმედების ვადაში შესაძლოა ვერ მოხდეს კომპაქტის ბიუჯეტის სრულად ათვისება და ვერ მოესწოროს სამუშაოთა მთლიანი მოცულობის დასრულება.

5. ჩატომის გენერირები

ზემოაღნიშნული დასკვნების გათვალისწინებით, პროექტის მენეჯმენტის წინაშე კიდევ უფრო მნვავედ დგება შემ-დეგი გამოწვევები:

კომპაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ძრითადი ნაწილი უნდა განხორციელდეს კომპაქტის ვადის დასრულებამდე – 2011 წლის აპრილამდე. ეს ნიშანის, რომ 2009-2010 წლებში ემ-სი-ჯის მენეჯმენტს მოუწევს ფაქტობრივი ფორმაჟორის პირობებში მუშაობა, რაც, ხელშეურულების პირობებიდან გამომდინარე, სამუშაოთა დიდი მოცულობის ერთბაშად განხორციელების და დარჩენილი თანხების სრულად ათვისების აუცილებლობას გულისხმობს.

მოუხდევად იმისა, რომ „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ განზრაბული აქვს მიმდინარე კვარტალში თანხების ათვისების მაჩვენებლის ამპიციური ზრდა, მიგვაჩინა, რომ კვარტალური ხარჯების მკვეთრი ზრდის დაგეგმვა ამ ეტაპზე არასწორია. ეს გამოიწვევს არასასურველ ზეწოლას პროგრამებზე, მათ განმახორციელებლებზე და შექმნის არასასურველ მოლოდინებს, რომელთა შეუსრულებლობა სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ პრესტიუს. წარსულში არსებულმა ტენდენციებმა, ასევე ონიგეტურად არსებულმა დროის დეფიციტიმა და ინსტიტუციური თუ ადმინისტრაციული ხასათის პრობლემებმა, შესაძლოა პროექტის თავდაპირველი გეგმების გადახედვა გამოიწვიოს.

კერძოდ, ამ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქნება შესყიდვის გეგმების სიზუსტე და ადექვატურობა. ემ-სი-ჯი-ს მენეჯმენტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს კომპაქტით გათვალისწინებული შესყიდვების 6-თვიანი გეგმების დროულ და პროფესიონალურ მომზადებას. მიღებული გამოცდილება ამის წინაპრობად უნდა იქცეს. დაგეგმვის სიზუსტე დღეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან კომპაქტის ვადის დასრულებამდე დაახლოებით 2,5 წელია დარჩენილი, გეგმიდან გადახვევები კი დამატებით საფრთხეებს შეუქმნის პროგრამის მიზნების შესრულებას.

შეზღუდული ვადების გამო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქნება კონტრაქტორების კვალიფიკაციის საკითხი. როგორც განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა, პროგრამის რამდენიმე პროექტში შეფერხებების ერთერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა სწორედ კონტრაქტორების არასაკმარისი კვალიფიკაციაა, რამაც გამოიწვია როგორც მათი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის გასაწევი ხარჯების დამატება, ასევე - პროექტების განხორციელების შეფერხება (მაგალითად რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების, ასევე - აგრობიზნესის განვითარების პროექტები). ამ ეტაპზე, ცხადია, ვერ მოხდება უკვე ჩატარებული შესყიდვების შედეგების რადიკალურად გადახედვა, თუმცა, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საქმიანობების შესრულების პროცესში აღებული ვალდებულებების კონტროლს. შემდგომში დაგეგმილ ტენდერებში კი აუცილებელია გამკაცრდეს კონტრაქტორთა შერჩევის კრიტერიუმები და არაკვალიფიციურობის მოტივით შეუსრულებელ სამუშაოზე პასუხისმგებლობის წილი.

პროექტების ტემპების დაჩირავების აუცილებლობამ უარყოფითი ზეგავლენა არ უნდა მოახდინოს სამუშაოების განხორციელების ხარისხზე. ამიტომ, ემ-სი-ჯი-ს მენეჯმენტმა მომავალ წელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლს.

ასევე აუცილებელია ობიექტურად დაფინდეს ხარჯების ათვისებაში არსებული ჩამორჩენის მიზეზები. საჭიროა მოხდეს „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ მიერ სხვა ქეყნებში განხორციელებული პროგრამების ათვისებაში არსებული პროგრესის შედარება საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებლებთან, იმის დასადგენად, ხომ არ მომდინარეობს ეს პრობლემა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ინსტიტუციური ხარვეზებიდან. ხარჯების ათვისების ჩამორჩენის მიზეზების მოძიება საფუძველი უნდა გახდეს გადამწყვეტი ღონისძიებების გატარებისათვის, რამაც თეორიულად პროექტის ბიუჯეტის ათვისების მაჩვენებლები უნდა გააუმჯობესოს.

არსებული პრობლემების გათვალისწინებით, აუცილებელია „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისა“ და „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მხრიდან პროგრამის ძრითადი მიზნებისა და დიზაინის გადახდევისათვის ერთგვარი მოსამზადებელი პროცესის დაწყება. ამის წინაპირობა მსოფლიოში, და მათ შორის საქართველოში მოსალოდნები ეკონომიკური კრიზისი, რამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს პროგრამის განხორციელებაზე. ასეთ შემთხვევაში პროცედურული თუ სხვა სახის სირთულეების მოუხედავად, შესაძლოა არ იყოს უადგილო პროგრამის ვადების გახანგრძლივებაზე ფიქრიც კი.

ბამოყვანების აბჩივაშვილი ეს სახმინთა ბანმახსებები

ემ-სი-ჯი	ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს
ემ-სი-სი	ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია
კომპაქტი	საგრანტო ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა აშშ-ს მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ფარგლებში.
მონიტორინგის/სამუშაო ჯგუფი	„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისა“ და „ფონდი ლია საზოგადოება საქართველოს“ წარმომადგენლებისაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი
პროგრამა	ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა